საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 6 (550) სამშაბათი, 12 იანვარი, 1993 წელი ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 10 იანვარს დღის განმავლობაში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე შენარჩუნებული იყო სიმშვიდე.

12 საათზე მდინარე გუმისთის ხიდზე ერთმანეთს შეხვდნენ მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენლები ტყვეთა გაცვლის პირობებზე მოსალაპარაკებლად. მხარეთა შორის მოლაპარაკებამ კორექტულად, შეიძლება ითქვას, კეთილმოსურნე ვითარებაში ჩაიარა და გაცვლა იმავე დღეს 15 საათზე შედგა რუსეთის მედესანტეთა ბატალიონის განლაგების ტერიტორიაზე. აფხაზთა მხარემ გაათავისუფლა 8 ქართველი სამხედრო ტყვე. ქართულმა მხარემ კი წინადღის გადაცემული გუმისთის ბრძოლაში დაღუპული 18 აფხაზი მეომრის გარდა, მათ გადასცა 5 გვამი და გაათავისუფლა 2 სამხედრო ტყვე. მხარეები შეთანხმდნენ, განაგრძონ შეხვედრები ამ საკითხებზე.

იოსებ გოგიჩია.

როგორ გადავარჩინოთ მილიონები

თუ გავითვალისწინებთ, რომ აფხაზეთის ფარგლებს გარეთ კილოგრამი მანდარინი 100-დან 800 მანეთამდე ღირს, სოხუმის მეურნეობათა, უწყებათა და ორგანიზაციათა ციტრუსების ბაღებში ამ ზამთარში ტოტებს მილიონობით მანეთი ასხია. მაგრამ ყველაზე უარესი ის არის, რომ ომის ამ დღეებში თოვლის საფარისა და მოუკრეფავი ხილის გამო ტოტები ემსხვრევათ მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის ხეებს.

როგორ უნდა გადავარჩინოთ ხალხის დოვლათი, ამაზე დღეს არავინ ფიქრობს. არადა უნდა ფიქრობდნენ, რომ ომის კანონების მიუხედავადაც კი ამისათვის აუცილებლად უნდა იზრუნონ ადგილობრივმა ხელისუფლებმა. როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ხელისუფლებმა.

თენგიზ ჯიბუტი.

მაღაროელები მუშაობას შეუდგნენ

თითქმის ორი თვის იძულებითი მოცდენის შემდეგ ჭიათურელი მაღაროელები კვლავ შეუდგნენ მუშაობას და ახალ წელს უკვე გამოუშვეს ასობით ტონა ხარისხოვანი მანგანუმი, რომელიც ასე სჭირდება მეტალურგებს.

— მოცდენა ერთი მიზეზით იყო გამოწვეული: მწყობრიდან გამოვიდა ხის სამაგრი, რომლისაც ეყრდნობა მაღაროს ლავების კამარები, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის" ტექნიკური მომარაგების განყოფილების უფროსმა იოსებ ქვათაძემ. — ხის მასალას ათწლეულების მანძილზე, როგორც წესი, რუსეთიდან ვიღებდით. მაგრამ შარშან, ყოველგვარი არსებითი მიზეზების გარეშე მისი შემოსვლა შეწყდა. საჭირო გახდა მოსკოვში ჩასვლა, მოლაპარაკება უშუალოდ რუსეთის მინისტრთა საბჭოს პირველ პირებთან. მოლაპარაკება ხანგრძლივი და ძნელი იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საღმა აზრმა გაიმარჯვა, და აი ცოტა ხნის წინათ მივიღეთ 27 ვაგონი ჩვენთვის ესოდენ საჭირო სამაგრი მასალა.

ამ დღეებში

გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე: ახლა ისეთ პირობებში ვიმყოფებით, რომ საქართველომ თავდადებით უნდა იშრომოს და ამასთან თავის ირგვლივ დაამყაროს და შექმნას ბალანსირებული ურთიერთობები

— მე ვფიქრობ, პრეტენზიები და შენიშვნები, რომლებსაც ჩვენი ხალხი პარლამენტის მუშაობაზე გამოთქვამს, თანაბრად ეხება ყველას და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუმცა ბუნებრივია პარლამენტიც პასუხისმგებელია ხალხის წინაშე. — თქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში 1993 წლის 11 იანვარს, — მეორეც, როცა პარლამენტის პირველ ნაბიჯებზე ვლაპარაკობთ, ობიექტურნი უნდა ვიყოთ. ეს ის პარლამენტია, რომელშიც თავმოყრილია ჩვენი საზოგადოების ძირითადი პოლიტიკური ძალები, უფრო სწორად ყველა პოლიტიკური ძალა და, მიუხედავად აი ამ მრავალფეროვნებისა, მან მაინც შეძლო ჩაებარებინა თავისი ძალიან რთული გამოცდა და სულ რაღაც თვენახევრის განმავლობაში ბევრი რამის გაკეთება მოახერხა. პირდაპირ ვამბობ, იმ კანონების და გადაწყვეტილებების გარეშე, რომლებიც პარლამენტმა მიიღო, ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა ისეთი სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რომელიც ახლა იდგამს ფეხს.

ამრიგად, მე მიმაჩნია, რომ პარლამენტმა საკმაოდ დამაჯერებლად დაიწყო მუშაობა და მნიშვნელოვანი ნაბიჯებით იარა, თუმცა იგი ამჟამად კიდევ უფრო დიდი ამოცანების წინაშე დგას. მჯერა, ამ ამოცანებსაც გადაჭრის. გუშინ ჩვენ ზოგიერთ რამეზე ვილაპარაკეთ, საკონსულტაციო შეხვედრა გვქონდა. ეს კარგი, კონსტრუქციული შეხვედრა იყო. სერიოზული შენიშვნები გამოითქვა მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის მისამართით, კოლეგის მისამართით; ბევრი რამ ჩვენს საქმიანობაში მართლაც არის გადასახედი, გადასასინჯი, დასახვეწი და ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს. მაგრამ მთავარი მაინც ის იქნება, რომ ამ უახლოეს დროში პარლამენტმა ისევე მაქსიმალური დაძაბვით იმუშაოს და მიიღოს მთელი პაკეტი უმნიშვნელოვანესი კანონპროექტებისა ეკონომიკის სფეროში, სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის სფეროში, მიიღოს მიწის კოდექსი და სხვა დოკუმენტები, რომელთა გარეშეც ლაპარაკი გარდაქმნებსა და რეფორმებზე და საერთოდ სახელმწიფოებრივ მშენებლობაზე ზედმეტი იქნება. კიდევ მეტი: ბევრი კანონია აგრეთვე მისაღები ქვეყნის თავდაცვისათვის.

ასე რომ, პარლამენტი ცოცხლობს, მუშაობს და იგი, ვფიქრობ, თავის იმ დიდ მისიას, რომელიც მას ხალხმა დააკისრა, შეასრულებს.

შეეხო რა აფხაზეთის ომთან დაკავშირებულ პრობლემებს, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ამ ომში უკვე შეიძლება გარკვეულ წარმატებებზე ვილაპარაკოთ. ეს ეხება ოჩამჩირის ზონასაც და სოხუმის მისადგომებსაც. თქვენ იცით, იყო მცდელობა სოხუმში შემოჭრილიყვნენ და ეს თავდასხმა წარმატებით იქნა მოგერიებული. ამ ფაქტის გამო მინდა გამოვიყენო დღევანდელი შემთხვევა და როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა მადლობა ვუთხრა ყველა ოპერაციის მონაწილეს, ყველას, ვინც ახლა სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე დგას ოჩამჩირეშიც, სოხუმშიც. ეს ეხება სარდლობას, ხელმძღვანელობას, ეს ეხება ოფიცრებს და, რა თქმა უნდა, იმ ჯარისკაცებს, რომლებიც სანგრებში დგანან; ეს მადლობა პირველ რიგში ეკუთვნის იმ ოჯახებს, რომლებმაც უახლოესი ძვირფასი ადამიანები დაკარგეს. რაც შეეხება ომის დამთავრების პერსპექტივას, მე უკვე არაერთგზის ვთქვი, რომ ეს არ იქნება ხანგრძლივი ომი. მე შევეცდები უახლოეს ხანებში ზოგიერთი ჩემი მოსაზრება ჩამოვაყალიბო იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იქნება აფხაზეთში მშვიდობის მიღწევის პერსპექტივები. ახლა ცოტა დრო კიდევ მჭირდება, რომ შევამოწმო ჩემი მოსაზრებები... მე მჯერა, მშვიდობის დამყარების შემდგომ გვექნება ხანგრძლივი სტაბილური ცხოვრების, სტაბილური მუშაობის პერიოდი და ეს პერიოდი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ საქართველო გახდეს ერთიანი, მართლაც ძლიერი დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც აყვავების გზით ივლის და განვითარდება.

შეეხო რა ირანში თავის მოსალოდნელ ვიზიტს, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი შესაძლოა ერთ-ერთი საინტერესო რგოლი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ კავშირი ირანსა და დასავლეთს შორის, ირანსა და კავკასიის სახელმწიფოებს შორის განმტკიცდეს. პირველ რიგში მე მხედველობაში მაქვს ირანის ხელმძღვანელობა, ამ დიდი ქვეყნის მთელი საზოგადოებრიობა. მე არა მგონია, რომ ისინი რაიმე წინააღმდეგობაში იქნებიან იმ პროცესებთან, რომლებიც ევროპას, აზიას და მთელს მსოფლიოს დღეს ახასიათებს. ირანის იზოლირების ნებისმიერი ცდა ყოველთვის უსარგებლოდ მთავრდებოდა და მით უმეტეს უსარგებლო იქნება იგი ჩვენს დროში. ირანი ჩვენი ძველი ისტორიული მეზობელია, იყო ჩვენს ცხოვრებაში ისეთი რამ, რისი მოგონებაც ახლა ძნელია, მაგრამ იყო ისიც, რომ ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებდა სულიერ, კულტურულ სფეროში, ხალხთა ურთიერთობაში; და თუ რამ იყო დადებითი (და დადებითი მართლაც ბევრი რამ იყო), ალბათ ყველაფერი ეს უნდა გამოვიყენოთ და ვაშენოთ ჩვენი ახალი ურთიერთობანი — ეს იმ ბალანსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს, რომელიც საქართველომ თავის ირგვლივ უნდა შექმნას — მე ვგულისხმობ ბალანსირებულ ნორმალურ ურთიერთობებს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მეზობლებთან.

კომენტატორის კითხვაზე, მოახდენს თუ არა იუგოსლავიაში მიმდინარე პროცესები რაიმე გავლენას აფხაზეთის მოვლენებზე, ედუარდ შევარდნაძემ უარყოფითად უპასუხა და იმედი გამოთქვა, რომ ეს მოვლენები იქ ასეთ დრამატულ ხასიათს არ მიიღებს. მე ვფიქრობ, გაეროს უშიშროების საბჭოს, რომელიც მთლიანად არის ჩართული ამ პროცესებში, ეყოფა გამბედაობაც და ძალაც, რომ საქმე აქამდე არ მიიყვანოს. რაც შეეხება რუსეთს, რა თქმა უნდა, რუსეთში შეიძლება შეგროვდეს იმდენი მოხალისე, რომ იქ საკმაო ძალად იქცეს (ისე როგორც ეს აფხაზეთშია), მაგრამ მე მგონი, რუსეთის მთავრობაც მიიღებს ყველა ზომას, რომ ამ მოძრაობას სტიმული არავინ მისცეს. მჯერა, არც ისლამური სახელმწიფოები არ მოიმოქმედებენ ისეთს, რომ იქ ევროპული კონფლიქტის მომასწავებელი რაიმე მოხდეს. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს პოლიტიკოსები ყველაფერს იღონებენ, რომ სწორედ უშიშროების საბჭოს მიეცეს ასპარეზი ამ ქვეყანაში მოქმედებისათვის.

11 იანვრის რადიოინტერვიუ

რაც შეეხება ჩვენს რესპუბლიკას, მე უკვე ვთქვი, რომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყველგან დავამყაროთ წესრიგი, და ამას შევძლებთ თუკი, ღონისძიებებს, რომლებსაც ახლა ატარებენ სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტები, შესაბამისი სამინისტროები და მთავრობა, მხარს დაუჭერს ხალხი, ამის საფუძველი უკვე არის, ძვრები ამ მხრივ იგრძნობა და მათ სწრაფად განმტკიცება სჭირდება. ვფიქრობ, პოლიცია გამოცოცხლდა, სამართალდამცავი ორგანოებიც უფრო აქტიურად შეუდგნენ დამნაშავეობასთან ბრძოლას და ეს აუცილებლად მინდა აღვნიშნო. ამიტომ ვთხოვთ ჩვენს მოქალაქეებს, რომ კიდევ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი ღონისძიებებს, რომლებსაც ახლა ხელისუფლება ახორციელებს წესრიგის აღსადგენად.

მე ვიცი, თუ რა მდგომარეობაა ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, იქ ჯერ კიდევ ბატონობს განუკითხაობა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ბევრ რეგიონში საქმე ამ მხრივ დაიძრა, პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ამას მხარდაჭერა სჭირდება. მეორე, რაც ასევე მინდა ჩვენს ხალხს შევახსენო, ის არის, რომ ჩვენ ახლა ზამთარი გვიწყობს მკაცრ გამოცდას და ასეთ პირობებში ჩვენი ყოფა უარესი იქნებოდა, რომ არ შეგვენარჩუნებინა ის ძველი კავშირები, რომლებიც აქამდე გვქონდა გარე სამყაროსთან — თურქმენეთთან, რუსეთთან... რუსეთი ამ დღეებში გვეხმარება და ყოველდღიურად 8 მილიონ კუბურ მეტრ გაზს გვაწვდის. ასევე თურქმენეთი ასრულებს თავის ვალდებულებებს, გამოიძებნა სხვა რესურსებიც და, თუ მთლად არ ვიყინებით და მრეწველობაც ასე თუ ისე მუშაობს, ეს ჩვენი ძველი არსებული კავშირების შედეგია. ამიტომ ჩემი აზრით, სანამ ჩვენი ახალი ურთიერთობები არ ჩამოყალიბდება ევროპის ქვეყნებთან, მთელი მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან, ამ კავშირებს უნდა გავუფრთხილდეთ. ამით არავითარი საფრთხე ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას არ ემუქრება, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ომის ღირსეულად დამთავრებისათვის და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს ომი მართლაც ღირსეულად დამთავრდება. ბოლოსდაბოლოს ალბათ მშვიდობიან მორიგებამდე მივალთ, მაგრამ აქედანვე უნდა ვიფიქროთ მშვიდობიან შრომაზეც. სამწუხაროდ, ის რაც შემოდგომაზე უნდა გაგვეკეთებინა, ვერ გავაკეთეთ, ასეულ ათასობით ჰექტარი მიწა მოუხნავი დარჩა, სასწრაფოდ მისაღებია მიწის კოდექსი. გლეხმა ახლა უკვე უნდა იცოდეს რა ეკუთვნის და რა არ ეკუთვნის, რით მოემსახურება მას სახელმწიფო, რა გარანტიებს მისცემს მას. ერთი სიტყვით, მთელი სპექტრია საკითხებისა, რომლებიც მოგვარებას მოითხოვს. ამასთან როგორც ვთქვი, ქალაქელებსაც უნდა მივცეთ მიწა, ყველა ოჯახს უნდა ექნეს საშუალება, რომ მიწაზე დაადგას ფეხი და საზრდო მოიპოვოს. ყველამ უნდა ვიშრომოთ და უნდა გვახსოვდეს: თუკი ახლა მაინც ვსულდგმულობთ, ეს უცხოური დახმარების შედეგია. ალბათ მიაქციეთ ყურადღება ბატონ ბუშის წერილს — ამერიკამ კვლავ 100 ათასი ტონა ხორბალი გამოგვიყო, 10 მილიონი დოლარის ფარგლებში მივიღებთ ბავშვთა პროდუქტებს, უკვე შემოდის 1 მილიონი დოლარის ღირებულების მედიკამენტები. ეს დახმარება რომ არა, ჩვენს საავადმყოფოებში საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა მკურნალობა.

მაგრამ ყოველივე ეს მაინც დროებითი ღონისძიებებია. სხვის იმედად შეიძლება ცოტა ხანს იყო, მაგრამ ყოველთვის ვერ იქნები, არ შეიძლება. ამიტომ, ვფიქრობ, დადგა იმის დრო, რომ ყველამ ხელი გამოვიღოთ, თავდადებით ვიშრომოთ და ვემზადოთ არა ომისათვის, არამედ შრომისათვის, რამაც უნდა შექმნას ჩვენი ხალხის ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო დოვლათი.

ახლა ძალიან აქტიურ ფაზაშია რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება. მე ვიცი, რომ ბევრი კითხვა იბადება სამანეთო ზონასთან დაკავშირებით, ალბათ, ბატონი რომან გოცირიძე მიაწვდის ხალხს გარკვეულ ინფორმაციას ამის გამო, მაგრამ მე მაინც მინდა ვთხოვო ჩვენს საზოგადოებას, რომ ეჭვის თვალით ნუ შეხედავენ ყველაფერს, რაც კი რუსეთთან მიმართებით კეთდება. გაიხსენონ, რომ კეთილმეზობლობის პირველი ხელშეკრულება თურქეთთან დავდეთ, ახლა ირანთან ხელშეკრულების დადებაზე ვლაპარაკობთ და ასეთი მოლაპარაკებები გრძელდება და გაგრძელდება რუსეთთან, მერე იქნება ვიზიტები უკრაინაში, ყაზახეთში, სხვა ქვეყნებში და ეს იქნება პროცესი, რომელმაც ურთიერთობები ყველასთან უნდა მოგვიწესრიგოს. რაც შეეხება საკრედიტო პოლიტიკას, სამანეთო ზონაში დარჩენას თუ არ დარჩენას, ეს ისეთი პრობლემებია, რომლებზეც ყველამ უნდა იფიქროს, ყველა მოქალაქემ კარგად უნდა გაიაზროს, თუ რა მოხდება, თუკი დავრჩებით ამ ზონაში. მე კი მაინც უნდა გითხრათ, რომ შედეგი იქნება ძალიან მძიმე, რადგან საკუთარი ვალუტისათვის ჩვენ ჯერჯერობით მზად არა ვართ, — განაცხადა ინტერვიუს დასასრულს ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

ნომერში

⊙ კრემლის კედლის შუბლით განგრევის სურვილი. 3
⊙ სარდაფებიდან ამოსული კულტურიზმი. 4

რუსეთთან ურთიერთობები კანონზომიერების მიხედვით უნდა განვითარდეს და ჩვენ ამ კანონზომიერებას დავიცავთ

— აფხაზეთის ომი არ უნდა იყოს ხანგრძლივი, რადგან მჯერა, რომ მალე გამოვნახავთ საერთო ენას აფხაზებთან, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ რადიო „მშვიდობისათვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელიც პირდაპირ ეთერში მოეწყო ტელერადიოკომპანია „ოსტანკინოს" თბილისის ბიუროს ხელმძღვანელის ნანა ლონლაძის ინიციატივით 1993 წლის 11 იანვარს, — და ამ საქმეში იმედი გვაქვს რუსეთის ფაქტორის, უშიშროების საბჭოსი, რომელიც მალე განიხილავს ამ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს. მე ადრე უკვე ვთქვი, რომ მშვიდობის გზების ძიებას თვით ცხოვრების ლოგიკა გვიკარნახებს, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — და ამიტომაც, ვცდილობთ ამ პროცესის ყოველმხრივ ხელშეწყობას, რომელსაც ურთიერთგაგება უნდა მოჰყვეს და ამის პირველი ნიშნები უკვე არის.

საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებთან ჩვენს ურთიერთობას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ახალი საბჭო, რომელიც სახელმწიფოს მეთაურთან შეიქმნა და მასში რესპუბლიკაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ცნობილი ადამიანები შევიდნენ, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ, — მათი დახმარებით გადავწყვეტთ საკითხებს, რომლებიც დაგვიგროვდა.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, იგი უნდა განვითარდეს კანონზომიერების მიხედვით და ჩვენ ამ კანონზომიერებას დავიცავთ და დავეყრდნობით, — განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა, — ჩვენ ვერ გადავუსვამთ ხაზს იმ ურთიერთობებს, რაც ამ ორი საუკუნის მანძილზე არსებობდა. ოღონდ საჭიროა დავძლიოთ ის, რაც ხელს გვიშლის, რომ რუსეთთან გვქონდეს სრულიად ახლებური ურთიერთობანი, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

საკონსულტაციო შეხვედრა

10 იანვარს გაიმართა რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მორიგი საკონსულტაციო შეხვედრა საპარლამენტო კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებთან. შეხვედრაზე პარლამენტარებმა განიხილეს მომავალი რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი, იმსჯელეს აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც, მათი აზრით, უახლეს ხანს უნდა იქცეს საპარლამენტო ბჭობის საგნად. განიხილეს ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის განცხადება

დღეს საქართველოში ნამდვილი ომია. ამ მწარე სინამდვილეს ვერსად გავექცევით, სწორედ ამიტომ, გვმართებს სულიერი ძალების მოკრება, რათა ყოველი ჩვენი მოქალაქე ბრძოლის ველზე თუ ზურგში უპასუხებდეს იმ მაღალზნეობრივ მრწამსს, რომელიც ისტორიულად დამკვიდრებულია ქართველი ერის ცნობიერებაში.

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ ქართველ ახალგაზრდობაში მხედრული სულის აღზევებისა, მოწმენი ვართ საოცარი საბრძოლო თავგანწირვისა, ეს მოსალოდნელიც იყო, რამეთუ ყოველი ერი თავისი წარსულიდან მოდის. თუ კი ოდესმე ქართველი იძულებით ჩაბმულა თავსმოხვეულ ომში, სწორედ დღეს არის ასეთი ომი, რომელიც საბჭოური უკუღმართი ეროვნული პოლიტიკის გაგრძელებაა. ახლა, როცა ახდა ქართველი კაცის 200-წლიანი ნატვრა, თავისუფალი საქართველოს ბალავერი ქვეყანაში სამართალსა და სამართლიანობაზე უნდა დაიჭრას, რათა დაიწყოს ადამიანის უცილობელ უფლებათა უზენაესობის დამკვიდრების პროცესი.

ხვალინდელი დღის საძირკველი აწმყოში იყრება: თუ როგორ ვშრომობთ დღეს, როგორ ვომობთ, როგორ ვექცევით ჩვენს მოწინააღმდეგეს ბრძოლის ველზე თუ მშვიდობიან დროს, როგორ ვფიქრობთ, როგორ განვიკითხავთ საკუთარ თავს და სხვას, ამაზეა დამყარებული ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების მომავალი. ჩვენი მომავალი ჩვენს ხელთაა, რაკი ამიერიდან „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის".

ყოველი სისასტიკე, თუნდაც მოწინააღმდეგის მიერ ჩადენილი სისასტიკის პასუხად, მძევალთა და დაკავებულთა ტანჯვა-გვემა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა უკვალოდ არ გაქრება, იგი საბედისწერო დაღს დაასვამს ჩვენს მომავალ ცხოვრებას ჩვენს წილხვედრ მიწაზე. ის თაობებს გადაეცემა, რამეთუ მომავალი აგებს პასუხს წარსულის ცოდვებზე.

ქართველი ხალხი, საქართველოში მცხოვრები ყოველი ერის ადამიანი, აიტანს ყოველგვარ გასაჭირს, სიდუხჭირეს, მატერიალურ სივიწროვეს. შიმშილსაც კი, ყველა იმ საშინელებას, რაც მოსდევს ომსა და შინაომლილობას, ჭრილობა მოშუშდება, დანგრეული აღდგება, ადამიანის მშვიდობიანი შრომა კვლავ გამოიღებს ნაყოფს და დაფასდება, მაგრამ შედეგებს იმ სისასტიკეთა, რომელთა შემსწრენი ვართ ბრძოლის ველზე თუ ზურგში, დიდხანს ვერ მოიშუშებს. ადამიანი, ქართველი იქნება თუ აფხაზი, განიცდის არა მარტო ფიზიკურ განადგურებას, სულიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას, დევნილებას მამაპაპეული მიწებიდან, სამარცხვინო ტყვეობისა თუ მძევლობის სიმწარეს თავისსავე ქვეყანაში, არამედ განიცდის ღრმა სულიერ ტკივილებს. ვინ — ზნეობრივ დაცემას, ვინ — გაბოროტებას, ვინ — სასოწარკვეთას, რისგანაც ხალხი, ძნელია, ერთი თაობის მანძილზე განიკურნოს. მოსახლეობა უწყალოდ ნადგურდება არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ მორალურად — და არა მხოლოდ ის, ვისაც სპობენ, შეურაცხყოფენ, არამედ ისიც, ვინც სპობს და შეურაცხყოფს, ვინც სისასტიკეს სჩადის მოყვასის (თუ კიდევ შერჩა ამ სიტყვას რაიმე შინაარსი!) მიმართ.

დაპირისპირებული მხარეები მოიცვა განუკითხაობამ, წესად შემოდის თვითგასამართლების შემაზრზენი ფორმები, გახშირდა არაადამიანური შურისძიების აქტები მძევალთა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ეთნიკური ნიშნით მტრად შერაცხულთა ტერორი, მათი საცხოვრებელი სახლების მიტაცება, რასაც ხშირად [illegible], დაჯგუფების თავკაცები ახალისებენ და ასულდგმულებენ. ჩვეულებრივ ყოველდღიურ მოვლენად იქცა ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა, მიცვალებულთა შეურაცხყოფა, დაუჯერებელი შემთხვევები გაუპატიურებისა — და ყველაფერი ეს დაუსჯელი რჩება. ყველაზე უფრო შემაშფოთებელი კი ის არის, რომ ადამიანი თითქოსდა შეეგუა ამ სიმახინჯეებს. საზოგადოება თითქოსდა მომზადებული აღმოჩნდა ასეთ ზნედაცემულობათა მოსასმენად და აღსაქმელად და, ბევრ შემთხვევაში, მათ დასტურსაყოფადაც კი.

ახსოვდეს ყოველ შეგნებულ ქართველს თუ აფხაზს, რომ მას, როგორც საქართველოს მკვიდრს და პატრონს, სხვაზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. თუ კეთილ საქმეთათვის დიდებას და პატივს ვესწრაფვით ამ ქვეყანაში, ჩვენს მიერ ჩადენილ უსამართლობაზე პირველად ჩვენვე უნდა ვაგოთ პასუხი.

საქართველოს ყოველი მცხოვრები, განსაკუთრებით ქართველი და აფხაზი, თუ კი ისინი ჯერ კიდევ აცნობიერებენ თავს უძველესი ქრისტიანი ერის შვილად ამ ქვეყანაში, უნდა აღივსოს მიმტევებლობის სულით. მისი ყოველი მოქმედება ამ მძიმე დროში, მისი ყოველი პასუხი მოწინააღმდეგის თუნდაც უსასტიკეს ქმედებაზე არ უნდა გამორიცხავდეს სამომავლოდ ამ მიწაზე ერთად ცხოვრების შესაძლებლობას, ნაკარნახევი უნდა იყოს მრავალსაუკუნოვანი მეზობლობის საუკეთესო ტრადიციებით, რათა საბოლოოდ არ მოიჭრას თავის დღევანდელ მოწინააღმდეგესთან კვლავ სამეზობლოდ მისასვლელი გზები.

თბილისი, 10 იანვარი, 1993 წ.

არსება კეთილისა...

შეხვედრა კლუბ „მეტეხის" წარმომადგენლებთან

11 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ქალთა საქველმოქმედო კლუბ „მეტეხის" პრეზიდენტს მარინე გუნიას, კლუბის წევრებს სოფიკო ჭიაურელს, მარინე ბერიძესა და მაკა მიქაძეს.

კლუბის პრეზიდენტმა მარინე გუნიამ მოუთხრო სახელმწიფოს მეთაურს ამ საქველმოქმედო ორგანიზაციის საქმიანობაზე და თუმცა, კლუბი წელიწად-ნახევარია რაც არსებობს, უკვე შეძლო ბევრი კეთილი საქმის გაკეთება. მან მატერიალური დახმარება გაუწია ჩვილ ბავშვებს, მარტოხელა მოხუცებს, სკოლა-ინტერნატებს, თანხა გადარიცხა მიწისძვრისაგან დაზარალებული ისტორიული ძეგლის — ნიკორწმინდის აღსადგენად. კლუბმა ინგლისის ქალაქ ბრისტოლში სამკურნალოდ გაგზავნა თბილისელი გოგონა ანა მიქელაძე. ამას წინათ, 78 ოჯახს, რომლებსაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, გადაეცა 60 ათასი მანეთი, სკოლა-ინტერნატის წლევანდელი ექვსი კურსდამთავრებულისათვის გახსნა შემნახველი სალაროს წიგნაკები და თითოეულს 10 ათასი მანეთი ჩაერიცხა.

„მეტეხმა" ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხა 250 ათასი მანეთი და 800 დოლარი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გულითადი მადლობა მოახსენა „მეტეხის" წევრებს მათი საქმიანობისათვის. ის, რასაც თქვენ ამ გაჭირვების ჟამს აკეთებთ, გმირობაა, აღნიშნა მან. თქვენი საქმიანობა, პირველ რიგში, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ მაინც გადარჩენა გვიწერია, რადგან ადამიანები უკანასკნელ კაპიკს გაიღებენ იმისათვის, რომ ქვეყანა გადარჩეს. ეს შემოწირულობები თავდაცვის ფონდს მარტო იარაღისათვის როდი სჭირდება. აფხაზეთში თავსმოხვეული უაზრო ომი დამთავრდება, მაგრამ მისი კვალი იმდენად ღრმაა, რომ იოლად არ წაიშლება. ამიტომ ფონდის ნაწილი მოხმარდება დაღუპულთა ოჯახებს, დანგრეულ სოფელ-ქალაქებს.

გულთბილი საუბრის დროს შეეხნენ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების არაერთ საჭირბოროტო საკითხს.

სურათზე: შეხვედრის დროს. გივი კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

შეიქმნა ოპერატიული ჯგუფები

რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა წამოჭრილი საკითხები დაუშვებლად ჭიანურდება. ეს ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ამ თუ იმ ფაქტსა და მოვლენაზე სათანადო ორგანოებს არ მოეპოვებათ დროული და ობიექტური ინფორმაცია, რის გამოც არ ხდება საჭირო შესაძლებლობებისა და არსებული რესურსების ოპერატიული მობილიზება გადამწყვეტ მიმართულებებზე ზომების მისაღებად. არ ხერხდება უწყებებისა და ორგანიზაციების შეთანხმებული მოქმედება, სათანადო ხელმძღვანელთა საჭირო ზემოქმედება მოვლენებზე. ამასთან ერთად არ არის უზრუნველყოფილი სათანადო კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

აქედან გამომდინარე, შექმნილ მდგომარეობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეურნეობის სხვადასხვა სფეროსა და სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების საქმიანობაში წამოჭრილ მწვავე საწარმოო და ორგანიზაციულ პრობლემებზე ოპერატიული რეაგირება და მათი გადაუდებელი გადაჭრა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ შეიქმნას ოპერატიული ჯგუფები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან (ქ. თბილისი). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან (ქ. სოხუმი), ქალაქ ფოთის გამგეობასთან (ქ. ფოთი). ოპერატიული ჯგუფები მუშაობენ დღეღამის განმავლობაში 1993 წლის 5 იანვრიდან.

აღნიშნულ ჯგუფებს დაევალათ მიიღონ, აღრიცხონ და გადასცენ შესაბამის ორგანოებს და უწყებებს დადგენილი წესის მიხედვით ინფორმაცია ადგილებიდან, უზრუნველყონ შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების, სამინისტროების, უწყებების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა აქტიური მონაწილეობა წამოჭრილი საკითხების გადაუდებლად გადაწყვეტაში.

აღნიშნული ჯგუფების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ზურაბ კერვალიშვილს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და ქალაქ ფოთის გამგეობას დაევალათ მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი აღნიშნული ჯგუფების შესახებ.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის აპარატის მუშაკთა ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელობა დაეკისრა წამყვან სახელმწიფო მრჩეველს გ. შარეიძეს. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ვლადიმერ ალელიშვილი — წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი, ნუგზარ ჩანტლაძე — წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი, რევაზ ტყემალაძე, თამაზ ბოლქვაძე, დავით წიქარიძე — სამივე სახელმწიფო მრჩეველი.

აღნიშნული ჯგუფი მოთავსებულია მინისტრთა კაბინეტის შენობაში — სართული 9, ოთახი ნომერი 925. ტელეფონები: მთავრობის ავტომატური ტელეფონის სადგური — 74-74; ქალაქის სატელეფონო სადგური — 99-50-20. საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის პირდაპირი ნომერი — 19.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონმდებლობა საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ

საქართველოს პარლამენტის მუდმივ კომისიათა შექმნის, უფლებამოსილების და საქმიანობის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის „სახელმწიფო ხელისუფლების" კანონი, ეს კანონი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 2. მუდმივი კომისიები და მათი უფლებამოსილების ვადა

საქართველოს პარლამენტი სახელმწიფოებრივი, საკანონმდებლო და საკონტროლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით ქმნის მუდმივ კომისიებს თავისი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 3. მუდმივი კომისიების უფლებამოსილება და მათი მუშაობის კოორდინაცია

პარლამენტის მუდმივ კომისიებს აქვთ კონტროლის, კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს პარლამენტის სპიკერი.

II. პარლამენტის მუდმივი კომისიები, მათი შექმნის წესი

მუხლი 4. პარლამენტის მუდმივი კომისიები

საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიებია:

1. სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისია
2. საგარეო საქმეთა კომისია
3. თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისია
4. იურიდიული კომისია
5. ეკონომიკურ საკითხთა კომისია
6. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
7. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია
8. ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა რეფორმების კომისია
9. განათლებისა და მეცნიერების კომისია
10. კულტურის კომისია
11. ჯანმრთელობის დაცვის კომისია
12. აგრარული კომისია
13. მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისია
14. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია
15. მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისია
16. სოციალურ საკითხთა კომისია
17. სპორტისა და ტურიზმის კომისია

საქართველოს პარლამენტს შეუძლია შექმნას ახალი მუდმივი კომისიები და გააუქმოს არსებულნი.

მუხლი 5. მუდმივი კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი

პარლამენტის კომისიის თავმჯდომარეს, პარლამენტის უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით, მის წევრთა სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კომისიის თავმჯდომარეთა კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს პარლამენტის წევრებს, ფრაქციებს, პარლამენტის წევრთა ჯგუფებს.

კანდიდატურების დასახელების შემდეგ პარლამენტის სხდომის თავმჯდომარე კითხულობს კანდიდატთა სიას და ითხოვს მათ თანხმობას კენჭისყრაზე. დასახელებულთ უფლება აქვთ მოხსნან თავიანთი კანდიდატურა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

პარლამენტის გადაწყვეტილებით არჩევნები ჩატარდება ბიულეტენების გამოყენებით ან ელექტრონული სისტემის საშუალებით.

თუ არჩევნებში ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და იგი არ აირჩა, ტარდება ხელახალი არჩევნები.

თუ არჩევნებში ორი ან მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ტარდება ხელახალი კენჭისყრა. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატთა რაოდენობა ორზე მეტი იყო, კენჭს უყრიან იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. ხელახალი კენჭისყრისას არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

ხმების გაყოფისას გადამწყვეტად ჩაითვლება პარლამენტის სპიკერის ხმა.

მუხლი 6. მუდმივი კომისიის წევრები

კომისიაში შეიძლება იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი. სავალდებულოა პარლამენტის წევრის მონაწილეობა ერთი კომისიის შემადგენლობაში მაინც. იმავდროულად იგი არ შეიძლება იყოს ორზე მეტი კომისიის წევრი.

პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, პარლამენტის სპიკერი, მისი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი არ შედიან კომისიების შემადგენლობაში.

კომისიის თავმჯდომარე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა მუდმივი კომისიის შემადგენლობაში.

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება პარლამენტის არანაკლებ 5 წევრით.

მუხლი 7. მუდმივი კომისიების შემადგენლობათა არჩევა

კომისიების პერსონალური შემადგენლობა, როგორც წესი, განისაზღვრება პარლამენტში არსებულ ფრაქციათა და დამოუკიდებელი პარლამენტის წევრების რაოდენობის პროპორციულად.

კომისიაში გაწევრიანების შესახებ პარლამენტის წევრი განცხადებით მიმართავს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეს.

შემოსული განცხადებების საფუძველზე კომისიის თავმჯდომარე კომისიის შემადგენლობას წარუდგენს ასარჩევად პარლამენტის სხდომას.

მუხლი 8. უარის თქმა მუდმივი კომისიის წევრად მიღებაზე და კომისიის წევრობის შეწყვეტა

პარლამენტის წევრს კომისიის წევრად მიღებაზე შეიძლება უარი ეთქვას ამ კანონის მე-6 მუხლში მითითებული საფუძვლებით.

გადაწყვეტილებას პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე კომისიიდან მისი გასვლის ან სხვა მუდმივ კომისიაში გადასვლის შესახებ იღებს პარლამენტი.

მუხლი 9. მუდმივი კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა

პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე, როგორც წესი, პარლამენტში კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან არაუგვიანეს სამი დღისა. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ორი მესამედი.

კომისია ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს ღია ან ფარული კენჭისყრით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

ფარული კენჭისყრისას იქმნება ხმის დამთვლელი კომისია პარლამენტის სამი წევრის შემადგენლობით ან ეს მოვალეობა ეკისრება კომისიის ერთ-ერთ წევრს.

კომისიის სამუშაო ორგანოს სახით შეიძლება შეიქმნას ქვეკომისიები პარლამენტის არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით. ქვეკომისია შეიქმნება კომისიის წინადადებით, რასაც ამტკიცებს პარლამენტი.

ქვეკომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის მიერ ამ მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული წესით.

საორგანიზაციო სხდომის ოქმი წარედგინება პარლამენტის კოლეგიას დასამტკიცებლად.

მუხლი 10. დებულება მუდმივი კომისიის შესახებ

კომისია თავისი დარგობრივი საქმიანობის გათვალისწინებით შეიმუშავებს დებულებას, რომელსაც იხილავს პარლამენტის კოლეგია და ამტკიცებს სპიკერი.

დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონს.

III. პარლამენტის მუდმივი კომისიების უფლება-მოვალეობები

მუხლი 11. კომისიების ამოცანები

კომისიები საკანონმდებლო რეგულირების შესაბამის სფეროში შეიმუშავებენ კანონპროექტებს, სესიაზე განსახილველად წინასწარ ამზადებენ პარლამენტის გამგებლობას მიკუთვნებულ ყველა საკითხს, აკონტროლებენ კანონებისა და პარლამენტის სხვა გადაწყვეტილებათა შესრულებას.

უფლებამოსილებათა განხორციელებისას კომისიები თანასწორი არიან.

მუხლი 12. ინფორმაციების მოსმენა მუდმივი კომისიის გამგებლობის საკითხებზე

კომისიას თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე უფლება აქვს მოუსმინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, რაიონების და ქალაქების გამგეობათა, რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების და სხვა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებს.

კომისიის წინადადებით ამ ორგანოებისა და უწყებების ხელმძღვანელები ან მათი წარმომადგენლები ვალდებული არიან გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და განსახილველ საკითხებზე მისცენ განმარტება კომისიას.

თავისი გამგებლობის სფეროში კომისიები ისმენენ და იხილავენ სამთავრობო შეტყობინებებს. მათ უფლება აქვთ მოსთხოვონ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წარუდგინონ დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები და სხვა საჭირო მასალები.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა მუდმივი კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის

კომისიის სხდომაზე გამოცხადებისა და დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ თანამდებობის პირებს, შესაბამის წარმომადგენლებს უნდა ეცნობოს დროულად.

თანამდებობის პირს, რომელიც არ შეასრულებს კომისიის მოთხოვნას, კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, ამ პირის ხელმძღვანელისა თუ ზემდგომი ორგანოს მიერ, შეიძლება დაედოს დისციპლინური სახდელი თანამდებობიდან დათხოვნამდეც კი.

მუხლი 14.

მუხლი 15. მუდმივი კომისიების საკონტროლო უფლებამოსილება

კომისიები თავიანთი გამგებლობის საკითხებზე აკონტროლებენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, მათი ქვემდგომი უწყებების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას კანონების შესასრულებლად.

კომისიები ამოწმებენ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების კანონქვემდებარე აქტების, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული კანონების შესაბამისობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობასთან.

კომისიებს პარლამენტის სესიაზე შეაქვთ საკითხი კანონშეუსაბამო სამართლებრივი აქტების გაუქმების შესახებ.

მუხლი 16. მუდმივი კომისიების უფლებამოსილება კანონმდებლობის სფეროში

პარლამენტის სესიაზე განსახილველად გასატანი ყველა კანონპროექტი წინასწარ განხილვას ექვემდებარება შესაბამის კომისიაში.

კომისიები მათ გამგებლობას მიკუთვნებულ დარგებში შეისწავლიან და აანალიზებენ მოქმედი კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას, იღებენ ზომებს კანონთა შესრულების უზრუნველყოფისათვის, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ამზადებენ წინადადებებს კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მუხლი 17. მუდმივი კომისიების რეკომენდაციები

კომისიები მათ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციების მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად გამოვლენილ კანონის დარღვევებზე შეიმუშავებენ და გზავნიან რეკომენდაციებს სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებში, კომიტეტებში, დეპარტამენტებში, მათ დაქვემდებარებულ უწყებებში, რაიონების და ქალაქების გამგეობებში, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებში.

განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომისიას არა უგვიანეს ერთი თვისა ან მის მიერ დადგენილ ვადაში.

IV. პარლამენტის მუდმივი კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 18. კომისიის თავმჯდომარე

კომისიის თავმჯდომარე წარმოადგენს კომისიას პარლამენტში, პარლამენტის გარეთ და შესაბამის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობებში.

თავმჯდომარე არის პარლამენტის კოლეგიის წევრი, იწვევს და თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს, კოორდინაციას უწევს კომისიის წევრების, ქვეკომისიების საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს მათ შორის, აკონტროლებს შრომის დისციპლინას, ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს, პარლამენტის სპიკერს დასამტკიცებლად წარუდგენს სამუშაო გეგმებს.

მუხლი 19. მუდმივი კომისიის თავმჯდომარის გადარჩევის წესი

კომისიის თავმჯდომარე პარლამენტის მიერ შეიძლება გადარჩეულ იქნეს ნებისმიერ დროს.

გადარჩევის საკითხს კენჭი ეყრება, თუ ამას მოითხოვს პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის სპიკერი, იმავე კომისიის წევრთა ორი მესამედი, საპარლამენტო ფრაქცია ან პარლამენტის წევრთა 20-კაციანი ჯგუფი.

კომისიის თავმჯდომარე გადარჩეულად ჩაითვლება, თუ ფარული კენჭისყრის დროს წინადადებას მისი გადარჩევის შესახებ მხარს დაუჭერს პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მის მოვალეობას პარლამენტის გადაწყვეტილებით ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თუ ამის საშუალება არ არის — კომისიის მდივანი. პარლამენტი, დადგენილი წესით, 10 დღის ვადაში ირჩევს კომისიის ახალ თავმჯდომარეს.

მუხლი 20. მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ცვლის კომისიის თავმჯდომარეს მისი არყოფნის შემთხვევაში, კოორდინაციას უწევს კომისიის წევრთა და წამყვანი სპეციალისტების საქმიანობას, აკონტროლებს სამუშაო გეგმების შესრულებას.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გადარჩევას კენჭი ეყრება, თუ ამას მოითხოვს კომისიის სულ ცოტა 5 წევრი; გადარჩევა ხდება კომისიის სხდომაზე წევრთა ორი მესამედის მონაწილეობით, ღია ან ფარული კენჭისყრით, ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 21. მუდმივი კომისიის მდივანი

კომისიის მდივანი ამზადებს კომისიის სხდომებს, განაგებს საქმისწარმოებას, აკონტროლებს კომისიის დებულების მოთხოვნათა შესრულებას, თავმჯდომარესთან ერთად ხელს აწერს კომისიის სხდომის ოქმებს, კოორდინაციას უწევს კომისიის ექსპერტ-კონსულტანტების საქმიანობას.

კომისიის მდივნის გადარჩევა ხდება ამ კანონის მე-20 მუხლში გათვალისწინებული წესით.

მუხლი 22. მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე

მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს ქვეკომისიის მუშაობას, გამოდის მომხსენებლად კომისიის სხდომაზე ქვეკომისიაში მომზადებული კანონპროექტებისა და საკითხების შესახებ, წარმართავს ქვეკომისიის საქმიანობას სამუშაო გეგმებისა და კომისიის დებულებით მისთვის მიკუთვნებულ სფეროებში, საჭიროების შემთხვევაში იწვევს და თავმჯდომარეობს ქვეკომისიის საკონსულტაციო სხდომებს სპეციალისტებისა და მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით.

ქვეკომისიას და მის თავმჯდომარეს თავისი ინიციატივით არ შეუძლიათ საკითხის გატანა პარლამენტის სესიის პლენარულ სხდომაზე.

ქვეკომისიის თავმჯდომარის გადარჩევა ხდება ამ კანონის მე-20 მუხლში გათვალისწინებული წესით.

მუხლი 23. მუდმივი კომისიის წევრთა უფლება-მოვალეობანი

კომისიის წევრს უფლება აქვს თანასწორ საწყისებზე მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში, გამოთქვას განსახილველ საკითხებზე თავისი წინადადებები, მოსაზრებები და შენიშვნები, აირჩიოს და არჩეულ იქნეს კომისიის თუ ქვეკომისიათა ხელმძღვანელობაში, მონაწილეობა მიიღოს კომისიის სამუშაო ორგანოებში, დაიკავოს უმრავლესობისაგან განსხვავებული პოზიცია, ამის თაობაზე გამოთქვას მოსაზრება სესიაზე საკითხის განხილვისას.

კომისიის წევრის მიერ შრომის დისციპლინის არაერთგზის უხეში დარღვევის და დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისიამ შეიძლება ეს საკითხი გადასცეს სამანდატო, საპარლამენტო ეთიკისა და პრივილეგიების კომისიას. ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 24. მუდმივი კომისიის სამუშაო გეგმები

კომისია პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, შემოსული წინადადებების, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტების საფუძველზე შეიმუშავებს მიმდინარე და პერსპექტიულ სამუშაო გეგმებს.

მიმდინარე გეგმა მოიცავს ერთ საპარლამენტო სესიას, პერსპექტიული გეგმა დგება ერთი წლით მაინც.

გეგმა მიიღება კომისიის სხდომაზე, მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი, რის შემდეგაც იგი განიხილება პარლამენტის კოლეგიაზე და მას ამტკიცებს პარლამენტის სპიკერი.

მუხლი 25. მუდმივი კომისიის სხდომები

კომისიის სხდომებს იწვევენ პარლამენტის [illegible] განსაზღვრულ დღეებში. სხდომა უფლებამოსილია, [illegible] კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. პარლამენტის სხდომებს შორის შესვენებების პერიოდში შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე სხდომაც. კომისიის სხდომებზე გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

ხმების ორი მესამედი სჭირდება დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნას და ახალი საკითხის შეტანას.

კომისია ატარებს რეფერენტულ სხდომებს იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც უნდა წარედგინოს პარლამენტს: სათათბირო სხდომებს — აზრთა გაზიარებისათვის, საკანონპროექტო სხდომებს — კანონპროექტთა განხილვისა და დამტკიცებისთვის, სარედაქციო სხდომებს — კანონპროექტის ან მისი ნაწილის სათანადოდ, განმეორებითი განხილვისათვის; საინფორმაციო სხდომებზე ისმენენ მათ გამგებლობაში შემავალი სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელების ინფორმაციებს.

კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ. დღის წესრიგი და სხდომის დრო როგორც წესი, წინასწარ ცხადდება სესიაზე. სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება ესწრებოდნენ მოწვეული პირები, მინისტრები, მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები, დაინტერესებული პარლამენტის წევრები, სხვა კომისიებისა და ფრაქციების წარმომადგენლები. ინფორმაცია კომისიის სხდომის შესახებ შეიძლება გამოქვეყნდეს პრესაში.

კომისიის თუნდაც ერთი წევრის მოთხოვნით და ამ საკითხზე ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ტარდება კომისიის დახურული სხდომა.

მუხლი 26. მუდმივი კომისიების ერთობლივი სხდომები

იმ მონათესავე საკითხებზე, რომლებითაც დაინტერესებულია ორი ან მეტი კომისია, თავმჯდომარეთა შეთანხმებით შეიძლება ჩატარდეს კომისიათა ერთობლივი სხდომა.

ერთობლივ სხდომაზე კენჭისყრა არ ტარდება. კომისია, რომლის დებულებით განსაზღვრულ უფლებებშიც შედის განსახილველი საკითხი, ითვალისწინებს ერთობლივ სხდომაზე გამოთქმულ წინადადებებს, მოსაზრებებს, შენიშვნებს და მიიღებს გადაწყვეტილებას დადგენილი წესით.

მუხლი 27. კანონპროექტის განხილვა მუდმივ კომისიაში

საკანონმდებლო ინიციატივის მქონე სუბიექტების მიერ შემოტანილი კანონპროექტი კომისიებს განსახილველად გადაეცემათ პარლამენტის კოლეგიის მიერ. კომისია მოვალეა 15 დღის ვადაში განიხილოს შემოსული კანონპროექტი. თუ ობიექტური მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა, განხილვის ვადას აგრძელებს პარლამენტის სპიკერი.

კანონპროექტი კომისიის სხდომაზე იხილება მუხლობრივად. მის ნებისმიერ წევრს შეუძლია გამოთქვას შენიშვნები და შეიტანოს შესწორებები თუ დამატებები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მიიღება კენჭისყრით. დეტალური შესწავლისა და კომისიის მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შეიძლება მიჩნეულ იქნეს სესიაზე განხილვისათვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მიუღებლად.

კანონპროექტის მომზადებულად ცნობის შემთხვევაში კომისია ამტკიცებს კანონპროექტის გამო მოხსენებას და ნიშნავს სესიაზე მომხსენებელს. მომზადებული კანონპროექტი გადაეცემა პარლამენტის კოლეგიას სესიის პლენარული სხდომის დღის წესრიგში გასათვალისწინებლად.

მუხლი 28. მუდმივი კომისიის წამყვანი სპეციალისტები

მუდმივ კომისიას ჰყავს წამყვანი სპეციალისტები, რომელთა საშტატო ოდენობასა და შრომის ანაზღაურების წესს ადგენს საქართველოს პარლამენტი.

წამყვან სპეციალისტებს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს პარლამენტის აპარატის უფროსი.

წამყვანი სპეციალისტები მუშაობენ კომისიის დებულებით განსაზღვრულ დარგობრივ მიმართულებათა საკითხებზე, მონაწილეობას იღებენ კანონპროექტების შემუშავებაში, შემოწმებებში, მოხსენებათა მომზადებაში, ანალიზსა და განზოგადებაში.

მუხლი 29. მუდმივი კომისიის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო

კომისიასთან იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური, მოწვეული სპეციალისტებისაგან. საბჭოს შემადგენლობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტის სპიკერი.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს კომისიის თავმჯდომარე საჭიროების მიხედვით. საბჭოს სხდომაზე იხილება და მუშავდება რეკომენდაციები და პროგნოზები კომისიის საქმიანობის მიმართულებებზე. შეიძლება ჩატარდეს კომისიისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი სხდომა.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები ითვლებიან კომისიის ექსპერტ-კონსულტანტებად საზოგადოებრივ საწყისებზე.

კომისიას პარლამენტის სპიკერთან შეთანხმებით, კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად, შეუძლია ექსპერტ-კონსულტანტებს ან მოწვეულ სპეციალისტებს გაუფორმოს ვადიანი შრომითი ხელშეკრულება.

მუხლი 30. მუდმივი კომისიის საქმიანობის უზრუნველყოფა

კომისიას ექმნება მუშაობისათვის აუცილებელი პირობები. მას ჰყავს სპეციალისტები და ტექნიკური პერსონალი, რომელთაც კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს პარლამენტის აპარატის უფროსი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 18 დეკემბერი.

სამი შეკითხვა ახლად დანიშნულ ხელმძღვანელს

დროულად გადავიდეთ საკლუბო მუშაობის პრინციპზე

დაიბადა 1947 წლის 1 იანვარს თელავში. 1964 წელს დაამთავრა დედაქალაქის 85-ე საშუალო სკოლა, 1974 წელს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის ფაკულტეტი. 1977 წელს კი მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლესი სკოლა ფეხბურთის უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელის სპეციალობით. 1965-75 წლებში მუშაობდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში, 1968-72 წლებში იყო სსრკ ნაკრების წევრი. არის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მონაწილე. 1988 წლის 12 ნოემბერს აირჩიეს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ; 1990 წლის ივლისში — საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარედ. 1991 წლის მარტში დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორად, იმავე წლის ივნისში — საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრად, ხოლო ახლახან — საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კახი ასათიანი.

ბატონი კახი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანი გახლავთ, რომელმაც საქმით დაიმსახურა ახლადარჩეული პარლამენტის ნდობა და ფარული კენჭისყრით შეუნარჩუნდა მისდამი დაქვემდებარებული დარგის თავკაცის თანამდებობა.

აქედან გამომდინარე, მას სხვა სამინისტროებისა თუ უწყებების ხელმძღვანელებთან შედარებით მეტი სათქმელი აქვს, მაგრამ გავითვალისწინეთ ჩვენი რუბრიკის ლიმიტირებული ჩარჩოები და საუბარს ამჯერად „შეზღუდული ხასიათი" მივეცით.

— როგორ შეაფასებდით ქართული სპორტის ამჟამინდელ მდგომარეობას?

— ისევე, როგორც ცხოვრების (უფრო სწორად, არსებობის) ნებისმიერ სფეროში, დღევანდელ ქართულ სპორტშიც რთული სიტუაციაა შექმნილი. ეს შეიძლება ითქვას როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სპორტული ობიექტების, ინვენტარის, ისე სპორტსმენთა ანაზღაურებისა და საყოფაცხოვრებო პირობების შესახებაც.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ის გარემოება, რომ მაღალი რანგის სპორტსმენები, მათ შორის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები საშუალოდ ხელფასის სახით დღეს 3000 მანეთს იღებენ, რაც ზღვაში წვეთია მათ მინიმალურ მოთხოვნილებებთან შედარებით.

ამის შემდეგ გასაკვირიც აღარ არის, რომ რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენთა საგრძნობი ნაწილი (ფეხბურთელები, კალათბურთელები, მოჭიდავეები, მორაგბეები, ფრენბურთელები და სხვა) უკეთესი საყოფაცხოვრებო თუ საწვრთნელი პირობების გამო მასობრივად მიემგზავრება თანამეგობრობისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც, შემოსავალს რომ თავი დავანებოთ, საშუალება აქვთ შეინარჩუნონ ნორმალური სპორტული ფორმა.

ამასთანავე, ქვეყანაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარების საქმეში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზებია. ადგილებზე ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები კვლავ განაგრძობენ მუშაობას მოძველებული და შაბლონური მეთოდებით, სერიოზული ჩამორჩენაა სპორტის მთელ რიგ სახეობებში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, ქართველი სპორტსმენები კვლავაც წარმატებით იცავენ სამშობლოს ღირსებას საერთაშორისო სარბიელზე, რის შესახებაც თქვენი გაზეთიც წერს.

ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მუშაობა და ძალისხმევა მოუხდათ ყოფილ სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, რათა რესპუბლიკას თავისი კუთვნილი ადგილი დაემკვიდრებინა საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში.

სადღეისოდ სპორტის თითქმის ყველა ძირითადი სახეობის ეროვნული ფედერაციები გაწევრიანდა ევროპისა და მსოფლიოს საერთაშორისო ფედერაციებში. რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა.

მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გავაცნოთ ის ფაქტი, რომ მარტო საერთაშორისო ფედერაციებში გაწევრიანებისათვის და ოფიციალურ საერთაშორისო ღონისძიებებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მონაწილეობისათვის საქართველოს მთავრობის აქტიური ხელშეწყობით და დახმარებით ყოფილმა დეპარტამენტმა და სამინისტრომ 200 000 დოლარი დახარჯა.

მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ფინანსური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად მინისტრთა კაბინეტმა გამოგვიყო 3 მილიონზე მეტი მანეთი 600-ზე მეტი სპორტსმენის ხელფასების, სტიპენდიებისა და კვებისათვის. ვიმედოვნებ, რომ თანადგომა არც მომავალში მოგვაკლდება.

ჩვენს საქმიანობაში მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ მოწინავე ქვეყნებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, სპორტულ ფედერაციებს, მწვრთნელებსა და მაღალი კლასის სპორტსმენებს შორის შრომითი ურთიერთობა წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ კონტრაქტის მეშვეობით, ამასთან რეგულარულად ვამოწმებთ ურთიერთვალდებულების შესრულებას.

— თქვენი აზრით, რა არის საჭირო ამჟამად შექმნილი მდგომარეობის თუნდაც ნაწილობრივ გასაუმჯობესებლად და კონკრეტულად რისი გაკეთება მიგაჩნიათ აუცილებლად უახლოესი თვეების მანძილზე?

— მნიშვნელოვან პრობლემად მიმაჩნია სპორტის ცალკეული სახეობების გეგმაზომიერი განვითარების საკითხები. ამ მიმართებით სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით კოლეგიის დადგენილებით კვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტებისაგან შეიქმნით კომისია. მან უკვე წარმოგვიდგინა მოსაზრებანი, წინადადებები ბიუჯეტის ხარჯზე მყოფი სპორტის სახეობების მკვეთრად შემცირების თაობაზე. ამასთან გამოიკვეთა ის სახეობები, რომლებიც პრიორიტეტულ, ნაწილობრივ და თვითდაფინანსებაზე იქნება. 1993 წლის 1 იანვრიდან დაფინანსდება მხოლოდ ის სახეობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს საერთაშორისო სარბიელზე, აგრეთვე ისინი, რომლებიც ჩვენი ხალხის ბუნებას, ტრადიციებს მიესადაგება. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ სპორტის ეროვნულ სახეობებს.

არც ის გარემოებაა დასამალი, რომ ჩვენმა მოსაზრებამ სპორტის მთელი რიგი სახეობების თვითდაფინანსების სისტემაზე გადაყვანასთან დაკავშირებით სპორტულ საზოგადოებრიობაში, გამორჩეულად ამ სახეობებში დასაქმებული სპეციალისტების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

ამ თვალსაზრისით არაჯანსაღი აჟიოტაჟის და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა გვაიძულა რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა მდგომარეობამ, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სპორტის მართვის მექანიზმში.

ცნობილია ისიც, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი ვერ აძლევენ უფლებას თავს განავითარონ სპორტის უმრავლესი სახეობები, საქართველოში კი დღეს მარტო კომიტეტის ხაზით ბიუჯეტით ფინანსდება 45 სახეობა.

— როგორ გესახებათ თქვენი საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის და საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში?

— დროა შევეგუოთ იმ აზრს, რომ საბაზრო ეკონომიკას თავისი ულმობელი კანონები გააჩნია. კომიტეტმა, სპორტულმა ფედერაციებმა, სპორტულმა კლუბებმა, სპორტულმა საზოგადოებებმა დღიდანვე უნდა იზრუნონ საკუთარი თავის შენახვაზე, სარეკლამო, ეკონომიკურ, კომერციულ საქმიანობაზე, სპონსორებისაგან თანხების მიღებაზე. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა სპორტული მეურნეობის რიგი დარგები მწარმოებლური და მომგებიანი გავხადოთ, რაციონალურად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, არსებული რეზერვები, ავამოქმედოთ სპორტული მუშაკები. მათი პირადი მატერიალური უზრუნველყოფა მათსავე საქმიანობაზე უნდა იყოს დამოკიდებული, კარგად გვესმის ისიც, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის მიღწევა საკმაო დროს მოითხოვს, სერიოზულ სიძნელეებთანაც არის დაკავშირებული და, რაც უმთავრესია, გვჭირდება ნამდვილი პროფესიონალები, საქმიანი ხალხი. ყოველმხრივ მხარდასაჭერია ფიზკულტურის ინსტიტუტის ინიციატივა, რომელმაც ითავა სპორტის ბიზნესმენებისა და მენეჯერების მომზადება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში უაღრესად აქტუალურია დროულად გადავიდეთ საკლუბო მუშაობის პრინციპზე. კოლეგიამ საგანგებოდ იმსჯელა ამ საკითხზე და დავსახეთ შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებები. კლუბების შექმნის მისაბაძ მაგალითს იძლევა ჭადრაკის, ხელბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის და სხვა ფედერაციები.

ესაუბრა
გია პლატონიშვილი.

საზრისი

...ისევე როგორც ყველა სხვა ხალხი

თემურ მირიანაშვილი.

პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე ბატონმა ირაკლი წერეთელმა მისთვის ჩვეული პირდაპირობითა და კატეგორიულობით მოითხოვა პარლამენტარებისაგან, გულახდილად თქვით, ვინ დასავლური ორიენტაციის მომხრენი ხართ და ვინ რუსულისაო. თავად ი. წერეთელს უამრავგზის უთქვამს ტრიბუნებიდანაც, პრესაშიც, რომ საქართველომ მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთზე უნდა აიღოს ორიენტაცია, რუსეთთან კი აბსოლუტურად ყოველგვარი კავშირი უნდა გავწყვიტოთ, ყველა ხიდი უნდა დავწვათ.

მართალია, ბატონ ირაკლის არ უყვარს, როცა ეკამათებიან, მაგრამ მე მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ დასავლური ორიენტაციის გააბსოლუტება შეცდომად მიმაჩნია. ცივილიზებული დასავლეთი, ცხადია, უნდა იყოს ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი, მაგრამ ჩვენს ლტოლვას ევროპა-ამერიკისკენ სნობიზმის სუნი უდის. ამასთან გვავიწყდება, რომ ჩვენისთანა პატარა ერს ყველა მიმართულებით უნდა შეეძლოს ცქერა და მეგობრის, სარგებლის ძიება.

რაც შეეხება რუსეთს, ძალიანაც რომ გამიბრაზდნენ ირაკლი წერეთელი, ნოდარ ნათაძე და მრავალი სხვა, მაინც არ შევდრკები და ვიტყვი, რომ იგი საქართველოსთვის მეორე (დასავლეთიდან ერთად) მთავარი ორიენტირი უნდა იყოს.

ესოდენ ერეტიკულ აზრს, რასაკვირველია, არგუმენტირება სჭირდება. უსათუოდ მოვიტან არგუმენტებს, მაგრამ თავდაპირველად ანტირუსული ორიენტაციის მქადაგებლებს მოვუსმინოთ. ვნახოთ, რით ასაბუთებენ ისინი რუსეთისაგან აბსოლუტურად მოწყვეტის აუცილებლობას. აი, მათი არგუმენტები: რუსეთმა დაგვიპყრო (თანაც არაერთგზის), ორასი წლის მანძილზე კოლონიად გვამყოფა, გვჩაგრა. რუსეთმა დაიპყრო მრავალი სხვა ერიც, მან შექმნა საშინელი იმპერია... ამ ისტორიული ფაქტებიდან ანტირუსული კურსის მომხრენი ასკვნიან, რომ დამპყრობლობა, მჩაგვრელობა რუსთა იმანენტური, ანუ თანდაყოლილი, გენეტიკური, მოუცილებადი თვისებაა.

ამგვარი გამონათქვამები მრავლად გვსმენია ჩვენს სამივე პარლამენტშიც (უზენაესი საბჭო, სახელმწიფო საბჭო, დღევანდელი პარლამენტი) და პრესაშიც. ამ გამონათქვამებს ქვემოთ დავუბრუნდები. ახლა კი მინდა ვკითხო მათ, ვინც რუსებს გენეტიკურ დამპყრობელ-მჩაგვრელებად აცხადებს და თავდაუზოგავად ელტვის დასავლეთს: განა ფრანგებს, ინგლისელებს, სხვა დასავლეთ ერებს არასოდეს არავინ დაუპყრიათ? განა მათ არ უჩაგრავთ, უძარცვავთ და უჟლეტიათ სუსტი ერები? არ აუტეხიათ უსაშინლესი ომები?

მეტყვიან, ეს ადრე იყო და არა ახლა. როდის ადრე? ჩვენს წელთაღრიცხვამდე თუ პრეისტორიულ ხანაში? არა, სულ რამდენიმე ათწლეულის წინ! იმასაც მეტყვიან, დღეს ხომ აღარავის ჩაგრავენ ცივილიზებული ერები, ხომ თავისი ნებით გაათავისუფლეს კოლონიებიო. დიახ, ეს ასეა. დასავლეთის ქვეყნებში დემოკრატიამ გაიმარჯვა. მან, დემოკრატიამ მოუპოვა თავისუფლება დასავლეთსაც და მის კოლონიებსაც. რუსი ერისა და მისი კოლონიების თავისუფლებაც იმაზეა დამოკიდებული, გაიმარჯვებს თუ არა რუსეთში დემოკრატია. აი, ეს უნდა გვახსოვდეს კარგად და ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევწყვიტოთ ლაპარაკი იმაზე, რომ დასავლელი ერების თანდაყოლილი თვისება ჰუმანიზმია, ხოლო რუსებისა — დამპყრობლობა-მჩაგვრელობა.

დეკოლონიზაციის მექანიზმს ამოძრავებს დემოკრატიული წყობა და არა ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური თვისებურება. დემოკრატია თავად არის სიკეთე. იგი ათავისუფლებს ერში კეთილ საწყისს. მჩაგვრელი ერი რწმუნდება, რომ ჩაგვრა სხვა ერისა უზნეობაა, რომელსაც საბოლოო ანგარიშით, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც, მხოლოდ წაგება მოაქვს. ასე მიდის მჩაგვრელი ერი დეკოლონიზაციის აუცილებლობის შეგნებამდე.

გავიხსენოთ რუსეთის უკანასკნელი წლების ამბები: გაიმარჯვა დემოკრატიამ გეკაჩეპეზე და განთავისუფლდნენ მოკავშირე რესპუბლიკები. გადმოვიდნენ სულ უკანასკნელ ხანს კონტრშეტევაზე რეაქციონერები და გაჩნდა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკათა „კონფედერაციის“ იდეა.

მაგრამ აქ კიდევ ერთ პრობლემას მივადექით. ჩვენში პრესიდან თუ მაღალი ტრიბუნიდან იმასაც ხშირად გაიგონებ, რომ რუსეთში ვერასოდეს დამკვიდრდება დემოკრატია, რომ იგი სრულიად უცხოა რუსული სულისთვის. ამ აზრის საბუთადაც დასავლეთის მაგალითს მოიხმობენ, — იქ დამკვიდრდა დემოკრატია, რუსეთში კი დემოკრატიზაციის ყველა ცდა მარცხით მთავრდებაო.

რა შეიძლება ითქვას ამაზე? ცხადია, დემოკრატია ზოგ ქვეყანაში უფრო ადრე მკვიდრდება, ზოგში უფრო გვიან, მაგრამ თქმა იმისა, რომ ევროპული ეთნოკულტურის მქონე და ქრისტიანიზმის მაღიარებელი რუსი ერის მენტალიტეტი გამორიცხავს დემოკრატიის შეთვისებას, არ შეიძლება. საერთოდ ცივილიზებულ სამყაროში აბსოლუტურად გაბატონებულია აზრი, რომ დემოკრატიას ყველა ერი ითვისებს მიუხედავად რასისა, სარწმუნოებისა. დემოკრატია შეითვისეს ყვითელკანიანმა იაპონელებმა, მაჰმადიანმა თურქებმა, ინდუსებმა... მაშ, რატომ უნდა იყოს გამონაკლისი რუსეთი? დემოკრატიულ რეფორმათა არაერთგზის დამარცხება რუსეთში ფაქტია. მაგრამ თვით ის გარემოება, რომ რუსებმა მრავალჯერ სცადეს დემოკრატიის დამყარება, განა არაფრის მთქმელია? დიახ, დემოკრატია ზოგ ხალხში უფრო ადრე მკვიდრდება, ზოგში უფრო გვიან, მაგრამ იგი (დემოკრატია) არსად დამკვიდრებულა იოლად, უსისხლოდ და პირველივე ცდით. (აკი დასავლელმა ბრძენმა თქვა: „დემოკრატია ის ხეა, რომელიც სისხლით მორწყვას საჭიროებსო“). განა დასავლელი ერები იმთავითვე კლასიკურ დემოკრატიულ სისტემებში ცხოვრობდნენ?! განა დასავლელი ერებიც მრავალი რევოლუციის, გამარჯვება-დამარცხებათა უსასრულო, მრავალსაუკუნოვანი გზით არ მოვიდნენ დემოკრატიის სუფევამდე?! ევროპაში ხომ დემოკრატია უკანასკნელ ათწლეულებში (ფაშიზმის დამარცხების შემდეგ) დამკვიდრდა საბოლოოდ.

როგორც ვხედავთ, რუსეთის ისტორიაში არაფერია ექსტრაორდინარული, მით უმეტეს, არაფერია ისეთი, რაც ამ ხალხის შინაგან არასრულფასოვნებაზე მეტყველებდეს.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: მაშ, რატომ ვერ ვახერხებთ ქართველები საერთო ენის გამონახვას თვით დემოკრატიულ რუსეთთანაც კი? რატომ ამჟღავნებენ ჩვენდამი მტრულ დამოკიდებულებას არა მხოლოდ რეაქციული ძალები რუსეთისა, არამედ დემოკრატთა ნაწილიც, მეორე ნაწილი კი, უმრავლესობა დუმს? (თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არის მაგალითები რუსების მიერ ჩვენდამი თანადგომისა. ეს განცხადებები და პუბლიკაციები კარგად არის ცნობილი). დაბოლოს, რატომ არ იღებს სასიკეთო შედეგს ბატონ ე. შევარდნაძის უაღრესად აწონილი პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში?

ამ საკითხზე პირადად ჩემს აზრს მოგახსენებთ, რაც შეიძლება ბევრისათვის არ იყოს მისაღები.

საქმე ის გახლავთ, რომ პერესტროიკის დაწყების შემდეგ ანუ მას შემდეგ, როცა ყველას მიეცა აზრის გამოთქმის საშუალება, რუსმა რეაქციონერებმა, ბუნებრივია, გამოხატეს თავიანთი მძვინვარე სიძულვილი და მტრობა ქართველებისადმი, როგორც ერთი ყველაზე თავისუფლებისმოყვარე ერისადმი (გავიხსენოთ ასტაფიევის, რუდენკოს და მრავალ სხვათა პუბლიკაციები თუ გამონათქვამები). ჩვენ უსათუოდ უნდა გაგვეცა საკადრისი და საქმიანი პასუხი ყოველივე ამაზე, ოღონდ, ცხადია, ჩვენი მლანძღველების დონემდე არ უნდა დავშვებულიყავით.

სამწუხაროდ, პასუხის გაცემა ჩვენ პრაქტიკულად ვერ შევძელით. (სწორედ აქედან დაიწყო ჩვენს მიერ იდეოლოგიური ომის წაგება). თან თავს ვიმართლებდით,—რუსული პრესა ჩვენს სტატიებს არ ბეჭდავს, ხოლო საკავშირო პარლამენტის ტრიბუნაზე ჩვენს დეპუტატებს არ უშვებენო. არც ერთი ეს მოსაზრება სიმართლეს არ შეესაბამება (ან თუ შეესაბამება, მხოლოდ ნაწილობრივ). პერესტროიკის დროინდელი რუსული პრესა სპეციალურად მაქვს შესწავლილი და ვიცი, რომ მრავალი ერი ახერხებდა მოსკოვური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თავისი სატკივრისა და სიმართლის თქმას. ეს შეეხება არა მხოლოდ ბალტიისპირელებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, უკრაინელებს, ებრაელებს, არამედ ისეთ ერებსაც კი, რომელთაც სულ რამდენიმე ათწლეულის წინ საერთოდ არ ჰქონდათ დამწერლობა და რომელთა სახელიც კი მანამდე არ გვსმენია. მაშ, რაღა მხოლოდ ქართველებს გვეკრძალავდნენ გამოქვეყნებას? და თუ მაინც გვიკრძალავდნენ, თბილისში დაგვებეჭდა რუსულად და გაგვევრცელებინა რუსეთშიც, მთელს მსოფლიოშიც (აფხაზები ხომ მშვენივრად ახერხებდნენ და ახერხებენ ამას). ერთი სიტყვით, უბედურება ის კი არ არის, რომ ვიღაცა რაღაცას გვიშლის (თუმცა არც უამისობაა), არამედ ის, რომ ჩვენ ქართულადაც არ მოგვეპოვება დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხები რუს რეაქციონერთა გამოხდომებზე.

ჩვენ ვერც საკავშირო უმაღლესი საბჭოს პარლამენტის ტრიბუნა გამოვიყენეთ. ბატონმა აკაკი ბაქრაძემ თავის დროზე განაცხადა, ქართველი დეპუტატები იმიტომ ვდუმვართ კრემლში, რომ ტრიბუნაზე არ გვიშვებენო. კი მაგრამ, ბატონმა ვალერიან ადვაძემ როგორ მოახერხა მრავალგზის წარმოეთქვა შესანიშნავი სიტყვები?

ვიმეორებ, რუსი რეაქციონერები, ცხადია, ყველანაირად გვიშლიან ხელს, მაგრამ მთავარი მიზეზი იმისა, რომ საკადრისი პასუხი ვერ გავეცით მათ, ჩვენშია, ჩვენს უუნარობაში, თავმოუბმელობაში, სიზარმაცეში.

რაკი ვერ გავეცით პასუხი ვერც რუს და ვერც აფხაზ-ოს ცილისმწამებლებს, მთელი იმპერიისა და მსოფლიოს მასშტაბით შეიქმნა ანტიქართული საზოგადოებრივი აზრი. ქართველებს სახელი გაგვიტყდა. არა მხოლოდ რუსმა, არამედ ევროპელმა დემოკრატებმაც ეჭვის თვალით დაგვიწყეს ცქერა. და ეს უკეთეს შემთხვევაში. უარესში კი აშკარად ანტიქართულ პოზიციებზე დადგნენ.

წაგებული იდეოლოგიური ომის კომპენსირება დავიწყეთ რუსეთისა და მთელი რუსი ერის საშინელი, ზოგ შემთხვევაში პირდაპირ უშვერი ლანძღვით. მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ და მზად ვარ დოკუმენტურად დავასაბუთო, რომ ქართველებს გაცილებით უფრო საშინლად გვყავს ნალანძღი რუსები, ვიდრე რუსებს ჩვენ (თუმცა ინიციატივა ლანძღვისა რუსი რეაქციონერებისგან მოდის). ამჯერად მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიტან, ოღონდ ავტორებისა და გაზეთების მითითებისგან თავს შევიკავებ.

ერთი ქართველი ავტორი ქართულ გაზეთში სვამს კითხვას: „არიან რუსები ქრისტიანი ადამიანები?“ და უპასუხებს: „რუსები არც ქრისტიანები არიან და არც ადამიანები“.

მეორე ქართველი ავტორი ქართულ გაზეთში გვარწმუნებს, რომ შიმშილობის ჟამს რუსები შვილებს ხოცავენ და მათი ხორცით იკვებებიან. ნაწილს კი ხორცისა აკატლეტებენ და ბაზარში ჰყიდიან.

სხვა ქართველი ავტორი იხსენებს ფ. ტიუტჩევის სტრიქონებს:

«Умом Россию не понять, аршином общим не измерить, в Россию надо только верить».

აი, ამ მშვენიერ სტრიქონებს მოსდევს ქართული ფრაზა: „ანუ რუსებისას ნორმალური ადამიანი ვერას გაიგებს!“

კმარა?

შემიძლია კიდევ მრავლად მოვიტანო ჩვენი პრესიდან მსგავსი საშინელებანი (ხომ გასაგებია, რომ, ჩვენი „კეთილმსურველების“ წყალობით, მთელი ეს მასალა ოპერატიულად ითარგმნება და იგზავნება რუსეთში). ვიმეორებ, ასე თვით რეაქციონერებს არ გვულანძღივართ ჩვენ. თვით ასტაფიევის მოთხრობაში არის დადებითი ქართველი პერსონაჟი (შეიძლება ითქვას, პერსონაჟებიც). ასტაფიევი სიმპათიით წერს ჩვენს წინაპრებზე, ხოლო გელათზე წერს უდიდესი აღტაცებით, სიყვარულით. ჩვენში კი ჩვეულებრივ ამბად იქცა მთელი რუსეთის, მთელი რუსი ხალხის ლანძღვა და ამის უფლებას თავს აძლევენ თვით ცნობილი პოლიტიკური ლიდერები. დავასახელებ თუნდაც ბ-ნ ნ. ნათაძეს (თუ საჭირო იქნება, მზად ვარ, გამოვაქვეყნო სათანადო ციტატები ნ. ნათაძის პუბლიკაციებიდან. ამჯერად კი ამისგან თავს ვიკავებ).

და ყოველივე ამის შემდეგ ვუბრაზდებით რუს დემოკრატებს, რატომ მხარში არ გვიდგახართო. ვუბრაზდებით, მიუხედავად იმისა, რომ ვერ დავარწმუნეთ ისინი ჩვენს სიმართლეში ოსების, აფხაზების და თუნდაც რუსი რეაქციონერების წინაშე. ვუბრაზდებით, თუმცა ჩვენ თვითონ ვუწოდებთ მათ არაადამიანებს, შვილიჭამიებს, არანორმალურებს!

ახლა ესეც ვიკითხოთ, რა მოგვცა წერეთელ-ნათაძის პოლიტიკამ რუსეთთან დამოკიდებულებაში? მოგვცა ის, რომ მამასისხლად გადაგვეკიდა ეს უზარმაზარი, უძლიერესი და უმდიდრესი (რესურსებით) ქვეყანა.

ედუარდ შევარდნაძე, რა თქმა უნდა, სწორ პოლიტიკას ახორციელებს რუსეთთან მიმართებაში. მაგრამ იგი პრაქტიკულად ერთადერთია. რუსეთში კარგად იციან და ითვალისწინებენ, რომ წერეთელ-ნათაძის ხაზი გაბატონდა. მე ვიცნობ ჩვენი პარლამენტის მრავალ წევრს, რომელნიც გრძნობენ ამ ხაზის დამღუპველობას, მაგრამ სიტყვა ვერ დაუძრავთ „მოღალატისა“ და „კოლაბორაციონისტის“ იარლიყის შიშით. ამასწინათ ვესაუბრე ერთ მინისტრს. მან მითხრა, ჰაერივით გვჭირდება რუსეთთან კონტაქტები მაგრამ რუსები ისე გავაღიზიანეთ, ჩვენსკენ გამოხედვაც კი არ უნდათო. ბოლოს ამ მინისტრმა მთხოვა, არასდიდებით არ გამთქვათო. ამიტომ არ ვასახელებ მას.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რუსებს ჩვენ მხოლოდ სიტყვით ვვნებთ და არა საქმით. ჩვენში არავის დაურბევია, გაუძევებია, დაუხოცავს რუსები. ეს მეტყველებს ერთის მხრივ, ჩვენი ხალხის მაღალ თვისებებზე და მეორეს მხრივ, ჩვენი პოლიტიკის დილეტანტიზმზე, სიბეცეზე. პოლიტიკაში სიტყვას საშინელი ძალა აქვს, ხშირად რეალურ საქმეზე დიდი ძალა. რუსების წინაშე ჩვენი ხალხის დამსახურებას აბათილებს, წყალში ყრის ჩვენი პოლიტიკოსებისგან უგუნურად წამოსროლილი სიტყვები.

ამ სიტყვებმა მარტო მთელი რუსეთი კი არ გადაგვამტერა, არამედ საერთაშორისო დონეზეც გაგვიტეხა სახელი. ნუთუ არ უხდა დაფიქრდნენ ეს პოლიტიკოსები და მათი თანამოაზრენი, როგორ ჩაესმის ცივილიზებული ევროპელის ყურს მათი მტკიცება რუსთა გენეტიკური გამოუსწორებლობის თაობაზე? ეს ხომ რასისტული მსჯელობაა! ასეთ მოსაზრებას ევროპაში არც კი მოისმენენ, ისევე, როგორც, მაგალითად, მსჯელობას ადამიანთა ან ერთა არათანასწორუფლებიანობაზე. ასეთი მსჯელობით პოლიტიკურმა ლიდერმა მხოლოდ თავად შეიძლება გაიტეხოს სახელი, ხოლო თუ რომელიმე ერს გაუტეხს სახელს, მაშინ სწორედ იმ ერს, რომლის პოლიტიკური ლიდერიც თვითონ არის.

თუ გვინდა გადავარჩინოთ ჩვენი ეროვნული იმიჯი და გაცილებით უფრო მეტიც, უნდა აღიკვეთოს ჩვენში რუსი თუ ნებისმიერი სხვა ერის შეურაცხყოფა.

უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ დამპყრობლობა არ არის რუსთა ბიოლოგიური თვისება და, მაშასადამე, არც ამ ხალხთან ყოველგვარი კონტაქტის დამყარების მანიაკალური შიშია გამართლებული. რუსეთთან ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ. მით უმეტეს, რომ დასავლეთთან თანამშრომლობა კიდევ კარგა ხანს არ შეგვეძლება, — ისინი ჩვენსას არაფერს იყიდიან, ჩვენ იმათსას ვერაფერს ვიყიდით. რუსეთი უნდა დავაინტერესოთ ჩვენთან უმჭიდროესი თანამშრომლობით. აქ არ კმარა მხოლოდ პოლიტიკური ხელშეკრულებების დადება (თუნდაც „დიდისა“). არ კმარა, რადგან რუსეთში ჩადის ჩვენი უპასუხისმგებლო პოლიტიკური განცხადებები. თანაც ოსურ-აფხაზურად შეკაზმული ჩადის. რუსებმა იციან, როგორი განწყობილებაა ჩვენს პრესაში, პარლამენტში. ამიტომ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურიც ზოგჯერ ვერას ხდება. თუმცა, რომ არა მისი პოლიტიკა, რუსეთი ალბათ უკვე წაგვლეკავდა.

და კიდევ. ჩვენისთანა პატარა ქვეყნები, მით უმეტეს, თუ ისინი ატომურ ზესახელმწიფოთა სიახლოვეს მდებარეობენ, უსათუოდ ითვალისწინებენ თავიანთი დიდი მეზობლის გეოსტრატეგიულ ინტერესებს. ეს არ ნიშნავს სუვერენიტეტის დაკარგვას. ფინეთი აბსოლუტურად სუვერენული ქვეყანაა, თუმცა ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ითვალისწინებს რა რუსეთის მეზობლობას, არც საქმით, არც სიტყვით არ ბღალავს მის ინტერესებს. ფინეთმა ამით მხოლოდ მოიგო.

ჩვენ კი ნიადაგ კრიჭაში ვუდგავართ რუსეთს. ხან ნატოს ჯარი შემოგვყავს, ხან რუსეთთან ყოველგვარ, თვით ეკონომიკურ კავშირზეც კი უარს ვამბობთ, რაც მხოლოდ ჩვენ დაგვაზარალებს, დაგვამშევს. ანტირუსული ფრაზეოლოგია ჩვენში სნობურ მოდად იქცა.

დავფიქრდეთ, თუ არ გვინდა, რომ დავიღუპოთ!

რომ არა ჩვენი ესოდენ დილეტანტური, არაკვალიფიციური და არსებითად პროვოკაციული პოლიტიკა, არც აფხაზეთში და სამაჩაბლოში ჩაიხრჩობოდა ასე საქმე და მატერიალურადაც ცოტა სული მოვითქვამდით.

.... ბატონმა ვახტანგ ყოლბაიამ — აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილმა პირველმა მოადგილემ მითხრა, არძინბა ჩემთან საუბარში გამუდმებით ლანძღავდა რუსებს, საჯარო გამოსვლებისას კი მათ ხსენებაზე პირიდან შაქარი და თაფლი ამოსდისო.

თვით შანიბოვსა და დუდაევსაც კი უთქვამთ, მზე და მთვარე რუსეთზე ამოგვდისო... მარტო ჩვენ გვინდა კრემლის კედლის შუბლით განგრევა. ამიტომაც ვზარალდებით ასე! თუმცა რადიკალ პოლიტიკოსებს, მადლობა ღმერთს, არა ეშუქრებათ რა. მხოლოდ ხალხი იჟლიტება. რადიკალ პოლიტიკოსს შეუძლია კათალიკოსის შეგონება არ შეისმინოს (!!!), კბილებამდე შეიარაღებულ ჯარს შეაგებოს ქალები, ბავშვები, მოხუცები. თავად სალსალამათი გადარჩეს და პასუხისმგებლობაც კი ვერ იგრძნოს საშინელი მსხვერპლისთვის. პირიქით, თავი ისე დაიჭიროს, თითქოს დიდგორის ომი მოეგოს.

მე არ ვარ სიმტკიცის წინააღმდეგი ნებისმიერ ქვეყანასთან დამოკიდებულებაში. ოღონდ ეს არ უნდა იყოს თვითმიზნური „სიმტკიცე“, რომელსაც სრულად პოპულიზმი უდევს. თუ წინასწარ ყველა საკითხში რუსეთის ინტერესთა საწინააღმდეგოდ ვიმოქმედებთ, ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში რისი დაკარგვით უნდა დავემუქროთ, რას უნდა დაემყაროს ჩვენი სიმტკიცე?

არ მინდა ისე ჩამომართვას ვინმემ, თითქოს იდილიურად ვხატავდე რუსეთს. რუსეთში, რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერია რეაქციული ძალები და, მით უმეტეს, გვმართებს სიბრძნე. ხოლო რაც შეეხება რუს ხალხს, ეს არის შესანიშნავი ხალხი, ისევე, როგორც საერთოდ ყველა ხალხი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მთავრობის ძალების წარმატება

ანგოლის შეიარაღებული ძალების ნაწილები წარმატებით ახორციელებენ იერიშს ანგოლის ცენტრალურ და სამხრეთ პროვინციებში. საგრძნობ დარტყმას აყენებენ უნიტას ოპოზიციური დაჯგუფების შეიარაღებულ ფორმირებებს. ანგოლის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ხელთ იგდეს ქალაქი, უამბო, სადაც მდებარეობს უნიტას შტაბ-ბინა, იუწყება ლუანდის რადიო. წინასწარი მონაცემებით, ორივე მხარეს მიადგა მნიშვნელოვანი ზარალი. როგორც რადიო იუწყება, ოპოზიციონერთა ლიდერი ჟონას სავიმბი ოფიცერთა ჯგუფთან ერთად „მიიმალა ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე გაურკვეველი მიმართულებით“.

მდგომარეობა სომალიში

მოგადიშოს ერთ-ერთ უბანში, სასტუმროს ახლოს, სადაც ცხოვრობენ უცხოელი ჟურნალისტები, შაბათს საღამოს ატყდა სროლა დაპირისპირებულ კლანებს შორის. ამერიკელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები იძულებული იყვნენ ცეცხლი დაეშინათ მათთვის ტყვიამფრქვევებიდან. წინასწარი მონაცემებით მსხვერპლი სომალიელთა შორის არ არის. სულ „იმედის აღორძინების“ ოპერაციის დაწყებიდან დაპირისპირებულ დაჯგუფებებს სომალიში მრავალეროვანი ძალების ქვედანაყოფებმა ჩამოართვეს 19 ტანკი, 33 ჯავშნოსანი, 70 საარტილერიო ქვემეხი, 1128 ერთეული ხელის ცეცხლსასროლი იარაღი და დიდძალი ტყვია-წამალი.

1993 წელი მშვიდი არ იქნება

როგორც ყველაფრიდან ჩანს, წელს შესაძლებელი იქნება კრიზისების თავიდან აცილება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას მთელ პლანეტაზე, მაგრამ უცილობლად გაძლიერდება მრავალრიცხოვანი საერთაშორისო წინააღმდეგობანი, გამწვავდება რეგიონული კონფლიქტები, ასეთი პროგნოზი გამოთქვა ავტორიტეტულმა ჩინურმა ყოველკვირეულმა „ლაოვანმა“.

საერთოდ, ნათქვამია სტატიაში, მსოფლიო განვითარდება მრავალპოლარულობის მიმართულებით, განმტკიცდება, აგრეთვე ურთიერთშეკავების ფაქტორები. ყველა ქვეყანა განაგრძობს საკუთარი სტრატეგიისა და საგარეო პოლიტიკის კორექტირებას იმ მიზნით, რომ თანამშრომლობისა და თავიანთ პოზიციათა შეთანხმების გზით შეაკავონ რეგიონული კრიზისების ესკალაცია. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალი, წინააღმდეგობანი სხვადასხვა ქვეყნის ინტერესებისათვის არ გამორიცხავს დედამიწის ზოგიერთ რაიონში კონფლიქტების გამწვავების შესაძლებლობებს.

მაო ძედუნის დაბადების 100 წლისთავი

მაო ძედუნის დაბადების ასი წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ მთელ ჩინეთში, როგორც მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანეს ღირსსახსოვარ თარიღს.

დაგეგმილ საიუბილეო ღონისძიებათა შორის არის ტრადიციული ფერწერისა და კალიგრაფიის, სამკერდე ნიშნებისა და ბიუსტების, პლაკატებისა და წიგნების კოლექციების გამოფენა, რომლებშიც ხოტბას ასხამენ „დიდი მესაჭის“ ქმედებას.

მთავრობის ჯარებმა იერიში დაიწყეს

ტაჯიკეთის მთავრობის ჯარებმა შეუტიეს პამირისპირეთის ქალაქებს როგუნსა და ობიგარმს, სადაც თავმოყრილია შეიარაღებული ოპოზიციის დიდი ძალები.

ამ ოპერაციის მიზანია, იძულებით ჩამოართვან იარაღი მთავრობის მოწინააღმდეგე დაჯგუფებებს, აღკვეთონ ბანდფორმირებათა სამართლებრივი განუკითხაობა. იარაღის ნებაყოფლობით ჩაბარების შესახებ ბრძანებულებას ვადა გაუვიდა ჯერ კიდევ 4 იანვარს, მოლაპარაკებამ ვერ გამოიღო სასურველი ნაყოფი.

ელექტრომობილის ახალი მოდელი

ახალი საუკუნის მოახლოებასთან ერთად იაპონიაში ძლიერდება ატმოსფეროში იმ მავნე გამონაბოლქვთა შემცირების გზების ძიება, რომლებიც ყოველდღიურად გამოდის ავტომობილების მრავალმილიონიანი პარკიდან. იაპონიის წამყვანმა ავტომობილსაშენებლო კომპანია „მაზდამ“ ფირმა „ელექტრიკ პაუერთან“ ერთად გამოსაშვებად მოამზადა ელექტროავტომობილის პერსპექტიული მოდელი, რომელსაც გადიდებული საექსპლოატაციო მახასიათებლები აქვს. ახალ ორადგილიან ელექტრომობილს შეუძლია განავითაროს საათში 130 კილომეტრი და გაიაროს 180 კილომეტრი მანძილი აკუმულატორული ბატარეების დაუმუხტავად.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა

განათლების საკითხებზე — პრინციპულად

საქართველოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობაზე იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ ეს მცირედი სტატია იმ ზღვა პუბლიკაციებთან შედარებით, რაც ამ პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნებულა, ზღვაში წვეთია.

ეროვნული ისტორიის აღმზრდელობითი და განმანათლებლური მისია კარგად ესმოდათ ჩვენს დიდ წინაპრებს. წინაპართა მიერ ეროვნული ისტორიის შესწავლისა და გაცნობიერების საუკუნოვანი ტრადიციები გააგრძელეს ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა და სხვებმა. შემდგომ გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის და სხვათა ავტორობით). ამჟამად სამაგიდო წიგნებად იქცა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ 8 ტომი, რომელმაც რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. გამოქვეყნდა აგრეთვე ქართველ ისტორიკოსთა სხვადასხვა პრობლემებისადმი მიძღვნილი კაპიტალური მონოგრაფიები...

მაგრამ მშობლიური ისტორიის სწავლება, სამწუხაროდ, წლების მანძილზე უგულვებელყოფილი იყო. საბჭოური საშუალო სკოლა მას კვირაში მხოლოდ ერთ საათს უთმობდა. უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტისა და პედინსტიტუტების გამოკლებით), საქართველოს ისტორია საერთოდ არ ისწავლებოდა. ასეთი საგანმანათლებლო პოლიტიკა, წარსულის შესწავლისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ცხადია, ხელს უშლიდა ახალგაზრდობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას. ამ პოლიტიკის წყალობით ქართველი ახალგაზრდობის უმრავლესობამ არ იცის საქართველოს ისტორია. „თავისი ისტორიის დამვიწყებელ ერს, — წერდა ილია, — უჭირს არსებობისათვის ბრძოლა იმიტომ, რომ რაც იყო, ის დავიწყებული აქვს და მაშასადამე დღეს რა არის, არც ის იცის. არ იცის, რა გაიმაგროს, რისთვის გასწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა“.

ახალმა დროებამ გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობა თავისუფლდება კომუნისტური დოგმებისაგან, თავს აღწევს აპათიას, საკმაოდ აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში. ახლა ისინი ყურადღებით ეკიდებიან ერის ისტორიის სწავლას, პოლიტიკური კულტურის ამაღლებას. ნიშანდობლივია ისიც, რომ თვით ახალგაზრდობის უმრავლესობამ მოითხოვა რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს ისტორიის კურსის სწავლება.

რესპუბლიკის მთავრობა, სახალხო განათლების სამინისტრო, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორატები დადებითად გამოეხმაურნენ სტუდენტთა ასეთ ინიციატივას. ჯერ კიდევ სამი წლის წინ სახალხო განათლების სამინისტრომ მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, რომელიც სხვა საგნებთან (იგულისხმება ჰუმანიტარული დისციპლინები) ერთად ითვალისწინებდა, უფრო სწორად, სავალდებულოს ხდიდა რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს ისტორიის საგნის დამკვიდრებას. ამ დადგენილების შესაბამისად დიდი მუშაობა განხორციელდა, თითქმის ყველა არაჰუმანიტარულ ინსტიტუტში დაფუძნდა ეს საგანი. შეიქმნა ან გადაკეთდა (ყოფილი სკკპ ისტორიის კათედრები) საქართველოს ისტორიის კათედრებად.

გაუქმებული სკკპ ისტორიის კათედრების პედაგოგთა უმრავლესობა გადავიდა საქართველოს ისტორიის სწავლებაზე. ორი-სამი წლის განმავლობაში მათ ასე თუ ისე მოახერხეს „გადახტომა“ კომუნისტური იდეოლოგიის სწავლებიდან ეროვნული ისტორიის სწავლებაზე, თუმცა ეს ნახტომი ყველასთვის „ჰოპლათი“ როდი დამთავრდა. აშკარად იგრძნობა ახლადშექმნილ კათედრებზე საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა ნაკლებობა. ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეივსო, მაგრამ სასურველისაგან მაინც შორსა ვართ.

თავიდანვე მწვავედ დაისვა საქართველოს ისტორიის კათედრის საშტატო ერთეულთა რაოდენობის საკითხი. თითქმის ყველა ჩვენი კოლეგის აზრით, მიზანშეწონილი იყო, გაუქმებული სკკპ ისტორიის კათედრის შტატები მთლიანად გადაცემოდა საქართველოს ისტორიის კათედრას, და ლექცია-სემინარებს დათმობოდა 100-120 საათი. ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სიღრმე-სისრულით შესწავლა. მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდა თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი. ისინი ცდილობენ 36-60-საათიანი კურსის დაკანონებას. უმაღლესი სკოლის რექტორებს, როგორც ჩანს, ფინანსების ეკონომია სურთ. იბადება კითხვა, რამდენად გამართლებულია ფულის დაზოგვა საქართველოს ისტორიის ხარჯზე?

ახლა, როცა აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, მშობლიური ისტორიის სწავლების სრულყოფის საკითხი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე უნდა წყდებოდეს. ქართველი ხალხისათვის უცხო ხილია რასიზმი, არავინ არ ქადაგებს ქართველი ერის სწორუპოვრობის თეორიას, არავინ არ აპირებს ეროვნულ უმცირესობათა შევიწროებას. მაგრამ დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართული ენის პოზიციების განმტკიცებას, კულტურისა და მეცნიერების განვითარებას, ახალგაზრდობის პატრიოტულ და საკაცობრიო იდეალებისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღზრდას. მოვლენებს უნდა ვხედავდეთ ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის ინტერესთა პრიზმაში, ყველა მიღწევას უნდა ვაფასებდეთ სამშობლოს წინაშე დამსახურების კვალობაზე. ცალმხრივი კლასობრივი პარტიული იდეოლოგიის დაძლევისა და ეროვნული იდეოლოგიის ფორმირების პროცესში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ცხადია, უდიდეს როლს შეასრულებს საქართველოს ისტორიის სწავლების მაღალ მეცნიერულ დონეზე დაყენება.

დასმული საკითხის სწორად გადაწყვეტაში დიდი როლი უნდა შეასრულოს უმაღლესი განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობამ. ამჯერად მის წინაშე კონკრეტულად ვსვამთ კითხვას: თუკი ამ სამი-ოთხი წლის წინ ცენტრიდან მოსული მითითება-ბრძანების შესაბამისად კომუნისტური იდეოლოგიის პოლიტიკური კათედრების საფინანსებლად უამრავ თანხებს ხარჯავდნენ და სკკპ ისტორიის სწავლებას 120 საათს უთმობდნენ, თავისუფალი საქართველოს ავტონომიური უფლებით აღჭურვილი უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების რექტორატებმა რატომ არ უნდა იფიქრონ ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრების აუცილებლობაზე და რატომ არ უნდა შეუქმნან ნორმალური პირობები საქართველოს ისტორიის კათედრას სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის?

ავტონომიური უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების საქმიანობის მაკოორდინირებელი ფუნქცია ეკისრებათ უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციას და სახალხო განათლების სამინისტროს. თანამედროვე პოლიტიკური ვითარების შესაბამისად სწორედ მათ უნდა განსაზღვრონ საქართველოს ისტორიის კათედრების საშტატო განრიგი და საათობრივი დატვირთვა ცალ-ცალკე ჰუმანიტარული და სხვა პროფილის მქონე ინსტიტუტებისათვის. ვფიქრობთ, საქართველოს ისტორიას 120 თუ არა 100 საათზე ნაკლები არ უნდა დაეთმოს. ასეთია ჩვენი და ჩვენი კოლეგების პოზიცია.

ალექსანდრე ბენდიანიშვილი,
აგრარული უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
გურამ მეტრეველი,
თბილისის სამედიცინო სახელმწიფო ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ამერიკული პრესის ფურცლებზე

„მოსიარულე აფიშა“ საქართველოდან

The Long Prairie
Leader
LARGEST CIRCULATION NEWSPAPER

მინესოტას შტატის ყოველდღიურმა წამყვანმა გაზეთმა „ლიდერმა“, რომელიც 12 გვერდზე დიდი ფორმატით გამოდის, სამი გვერდი დაუთმო ვრცელ სტატიას, რომლის სათაურია „ქართველი იმედოვნებს შინ დაბრუნდეს უკეთესი წარმოდგენებით ამერიკასა და კაპიტალიზმზე“.

„ქალაქ ლონგ პრეროში მცხოვრებ ჯონ კროლის ოჯახს, — წერს გაზეთი, მრავალჯერ უმასპინძლია უცხოელი სტუმრებისათვის. ამჯერად თავისი სახლის კარები გაუღო საქართველოს მკვიდრს დიმიტრი მესხიშვილს“.

აქვე გაზეთი ქართველ ჭაბუკს წარუდგენს მკითხველს: „დიმიტრი ეკონომისტია, სულ ახლახან დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ერთ-ერთ კერძო კომპანიაში (იგულისხმება კონცერნი „საქართველო“). ამ კომპანიის პრეზიდენტი ბატონი ზურაბ აბზიანიძეა. სწორედ ამ კომპანიამ გადაუხადა მას ფული, რათა ჩამოსულიყო ამერიკაში და შეესწავლა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები და საქმიანი ურთიერთობა დაემყარებინა აგრობიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან“... 24 წლისაა, „მშობლიური ენის გარდა კარგად ფლობს ინგლისურსა და რუსულს. ინგლისურს იგი ბავშვობიდან სწავლობდა. მისი პირველი მასწავლებელი მისივე დედა იყო“. გაზეთი იხსენიებს ქართველი სტუმრის მამასაც: მეცნიერ-მუშაკი ანზორ მესხიშვილი თეთრიწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობას უდგას სათავეში. შვილმა მამის გზა აირჩია და გახდა აგრონომ-ეკონომისტი. უმაღლესის დამთავრების შემდეგ სპეციალობის მიხედვით კიდეც წაიმუშავა ამ რაიონში.

„სტუმარი შორეული საქართველოდან,—იუწყება გაზეთი,—ამაყად და სიყვარულით ლაპარაკობს მშობლიური ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებზე, საქვეყნოდ განთქმულ ქართულ კურორტებზე, ქართულ მევენახეობასა და ღვინოებზე, ჩაისა და ციტრუსებზე, ხილსა და თამბაქოზე... დამოუკიდებელ საქართველოში ეს დარგები წარმატებით განვითარდება და დიდი შემოსავლის წყარო გახდება... ეს პატარა ქვეყანა სიდიდით მინესოტას შტატის ორი მესამედია, ცნობილია ლამაზი მთებით, დაბურული ტყეებით, ზღვის სანაპიროებით, მინერალური წყლებით თუ დასასვენებელი ადგილებით, რის გამოც აქ დიდად არის განვითარებული ტურიზმი...“ დიმიტრი მესხიშვილი იქვე იმედს იძლევა: „საქართველოში მდგომარეობა მალე სტაბილური გახდება და შესაძლებლობა გვექნება მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ამერიკელი ტურისტი. ამერიკელები უყვართ საქართველოში, თბილისი და ატლანტა დამმობილებული ქალაქებია. ამ სიყვარულს ამერიკელებიც სანაცვლოს მიაგებენ. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება“.

გაზეთი დიმიტრის „მოსიარულე აფიშას“ უწოდებს, რადგან მას ძალიან უყვარს მოგზაურობა თავისი ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ. ამერიკაში იგი იყო მინესოტას შტატის ქ. ჰილესის მახლობლად ფერმერ ჯიმ მეიერის ოჯახში, რომელიც მარცვლეულს აწარმოებს. ლონგ პრეროს მახლობლად ფერმერ ჯონ კროლის ოჯახში მეცხოველეობის მიმართულების ფერმის მუშაობა შეისწავლა. [illegible] თავი მკლავებდაკაპიწებული შრომობდა მათთან: დილის 6 საათიდან საღამოს 8-9 საათამდე, ასრულებდა ყველა სამუშაოს და შრომისმოყვარეობით ამერიკელთა ყურადღება მიიპყრო. — თუ ასე გააგრძელებ, შენგან ნამდვილი მსხვილი ფერმერი გამოვაო, — შთააგონებდნენ ამერიკელი ფერმერები.

მომავალ ქართველ ბიზნესმენს ჰქონდა შეხვედრები აგრეთვე სკოლებში, იყო მინესოტას და აიოვას შტატების სახელმწიფო უნივერსიტეტებში, რომლებიც სოფლის მეურნეობის მიმართულებისაა. ესტუმრა აგრეთვე სამხედრო ნაწილს, დაათვალიერა მდინარე მისისიპის სათავეები, ესაუბრა ფირმა „ჯენერალ მილსის“ წარმომადგენელს და ა. შ. ესაუბრა მათ საქართველოში მიმდინარე გარდაქმნებზე.

გაზეთმა „ლიდერმა“ ქართველი ჭაბუკის სტუმრობას მომდევნო ნომერშიც მიუძღვნა წერილი. ორივე მასალა ილუსტრირებულია ფოტოებით, მესხიშვილი ფოტოჟურნალისტს თავის მასპინძელ ფერმერებთან ერთად გადაუღია.

მტკიცდება საქართველოს კავშირები მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროსთან. ქართველი ჭაბუკის ამერიკული ხანგრძლივი ტურნეც კიდევ ერთი აგურია ამ შენობაზე.

დავით ბიწაძე.

სურათზე: გაზეთი „ლიდერი“. დიმიტრი მესხიშვილი ამერიკელ ფერმერთან (გადმობეჭდილია იმავე გაზეთიდან).

ბრალად ედებათ საბჭოთა კავშირის დაშლა

10 იანვარს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს შენობასთან მიტინგი გამართეს „შრომითი რუსეთის“ მოძრაობის მონაწილეებმა.

გამომსვლელები აცხადებდნენ, რომ სსრ კავშირის დაშლასა და ყოფილი კავშირის ტერიტორიაზე შემდეგ მომხდარ სისხლისღვრებში ბრალი მიუძღვით მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ გორბაჩოვს, ედუარდ შევარდნაძის ჯუნდასა და რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რომელიც იარაღს აწვდის ცხელ წერტილებში.

მიტინგზე წაკითხულ რეზოლუციაში გაისმა მოთხოვნა, შეწყდეს „აგრესია მშვიდობიანი სუვერენი აფხაზი ხალხის წინააღმდეგ და საქართველოს ხელმძღვანელობისათვის რუსული იარაღის გადაცემა“, დაუყოვნებლივ გაიყვანონ ფაშისტი ბოევიკები სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორიიდან, აგრეთვე მოწოდებები, რომ „რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილებმა უაღრესად მტკიცედ იმოქმედონ შევარდნაძის ბანდების წინააღმდეგ“.

გამოითქვა პროტესტი მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ბორის ელცინის ხელმძღვანელობა ახორციელებს აფხაზი და ოსი ხალხის მიმართ, მოითხოვეს, რუსეთის მხარემ განახორციელოს ეკონომიკური სანქციები რესპუბლიკის წინააღმდეგ.

კირა ანდრონიკაშვილი.
საქართველოს საელჩოს პრესცენტრი.

ეს ჩვენი საქართველოა

წიგნის ბიზნესი.

სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

ახალი ლიტერატურული გაზეთი

ქართველმა მკითხველმა საახალწლოდ ახალი საჩუქარი მიიღო — გამოვიდა ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა ქართული“.

გაზეთის მეთაურ წერილში ვკითხულობთ: „ქართველი ხალხის სულიერი ენერგია უშრეტია და განუსაზღვრელი. ახალი წლის პირველი დღიდანვე უნდა გაჩაღდეს შრომა, რომელიც შვებასაც მოგვიტანს, გამარჯვებასაც, მატერიალურ სიკეთესაც და სულიერ ამაღლებასაც.

ქართულმა მწერლობამ დიდებულ ეროვნულ ხელოვნებასთან და მეცნიერებასთან ერთად ერში უნდა დაამკვიდროს შრომის კულტი, სიკეთისა და სამართლიანობის კულტი, ადამიანური ღირსების უზენაესობის კულტი.

„სიტყვა ქართული“ — ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სალიტერატურო გაზეთი — ყოველმხრივ შეეცდება თავისი კეთილი წვლილი შეიტანოს ამ დიდ სამომავლო საქმეში“.

გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ილიას იმ საახალწლო წერილის მოზრდილი ნაწყვეტი, რომელიც 1899 წლის „ივერიის“ პირველ ნომერში დასტამბა. დიდი ილიას სიტყვები ბევრ საფიქრალს გაუჩენს დღევანდელ მკითხველს, მისი უკვდავი აზრები და შეხედულებანი ხომ წლების მანძილზე არა ჰქრება, არ იშრიტება.

„სიტყვა ქართულმა“ თავის პირველსავე ნომერში ამიტომ მოიშველია დიდი ილია.

გაზეთში დაბეჭდილია ირაკლი აბაშიძის მარად გაუხუნარი ლექსი „ხმა კატამონთან“. გამოქვეყნებულია ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარის ხუტა ბერულავას მიერ მწერალთა საერთო კრებაზე წაკითხული მოხსენების ნაწყვეტი.

დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ერთ მხარეს ეძღვნება ნოდარ ტაბიძის ვრცელი წერილი „კარგია ლექსი მაშინ, როს ნათელია და ხალხური“.

სიტყვა ქართული

გაზეთში ფართოდ არის წარმოდგენილი მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები — მერაბ ელიოზიშვილის კინომოთხრობის „წარმართის“ ნაწყვეტები, ოთარ შალამბერიძის ლექსების ციკლი, ელიზბარ უბილავას მოთხრობა „მინდვრის ყვავილი“, სოლომონ დემურხანაშვილის მოთხრობა — „კრუხის ბიჭი“, აპოლონ ადონიას ორი ლექსი, მირიან ლეჟავას იუმორისტული მოთხრობა „ჩემი ოცნება“.

გაზეთი ფართოდ აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი პოეტის ოთარ შალამბერიძის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს. იუბილარს ძვირფას თარიღს ულოცავენ შოთა ნიშნიანიძე, ლევან ბრეგაძე და ნათელა ონაშვილი.

გიორგი შალამბერიძე თავის მოგონებაში ერთხელ კიდევ ხატოვნად გაიცოცხლებს დაუვიწყარი ლადო ასათიანის სიჭაბუკის წლებს — „პოეტის სტუდენტური დღეების გაელვება“.

საინტერესო წერილს გვთავაზობს კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე — „ქართული სიტყვა გერმანული გაზეთის ფურცლებზე“.

გაზეთი უხვად არის ილუსტრირებული. მხატვარ-კარიკატურისტის გიგლა ფირცხალავას გონებამახვილური მარად უჭკნობი შარჟები მუდამ დამაფიქრებელი და ხალისის მომგვრელია. „სიტყვა ქართული“ კვლავაც ხშირად ჩაიხედავს ამ ნიჭიერი მხატვრის მდიდარ არქივში, ამჯერად კი პირველ ნომერში ერთ ფართოპლანიან ნახატს სთავაზობს მკითხველებს.

გაზეთს აქვს ძალზე მოკრძალებული ფასი. ასეთივე მოკრძალებულია მისი ტირაჟიც — ისევ და ისევ ქაღალდის დეფიციტის გამო.

ახალი ლიტერატურული გაზეთი უთუოდ კეთილ სამსახურს გაუწევს ჩვენს მკითხველ საზოგადოებას. ვუსურვოთ მას წინსვლა, მუდამ თან სდევდეს ქართული სიტყვის, მარად უჭკნობი ენის მადლი და დიდება!

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

ქართველი პიანისტის ამერიკული ტურნე

მერი გაბრიაძე

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ნიჭიერი ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე საგასტროლოდ გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს მისი მეშვიდე სტუმრობაა ამ ქვეყანაში, რომელიც ცნობილი ამერიკული მენეჯმენტის „შილიერ ინტერნეშნლის“ ხუთწლიანი კონტრაქტის საფუძველზე ეწყობა. ელისოს ხელოვნებას კარგად იცნობენ ამერიკაში: ჯერ იყო და, მან სახელი მოიხვეჭა ვან კლიბერნის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ფორტ-უერტში. ხოლო შემდეგ კონცერტებით დაამახსოვრა თავი უკომპრომისო მსმენელებს.

სამი თვის მანძილზე ელისო სოლო-კონცერტებს გამართავს ამერიკის დიდი ქალაქების აღიარებულ დარბაზებში. სხვათა შორის, ლოს-ანჯელესის დარბაზ „პასადენაში“ გამოსვლა ბევრი ცნობილი მუსიკოსისათვის აუხდენელ ოცნებად დარჩა, ელისო კი ამ დარბაზმა ამჯერად მეორედ მიიწვია...

ამერიკელმა მსმენელმა იცის ნამდვილი მუსიკოსის ქადრი და დაფასება. ელისომ ეს ყველაფერი თავისთავზე გამოსცადა, როცა იქაურ მუსიკის მოყვარულებს მართლაც რომ დაუვიწყარი საღამოები აჩუქა. ამერიკული პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი პიანისტის საშემსრულებლო ოსტატობას, ბრწყინვალე ტალანტად და დიდ მუსიკოსად აღიარეს იგი სპეციალისტებმა. და აი, ახალი შეხვედრა ამერიკელებთან 12 იანვარს დაიწყება ნიუ-იორკში დაგეგმილი კონცერტით. მარტის ბოლოს კი ელისოს კონცერტი შედგება პუერტო-რიკოში. აქ გაიმართება კონცერტების სერია „მსოფლიოს ახალგაზრდა შემოქმედნი“, რომლის გახსნის პატივი წილად ხვდა ჩვენს სახელოვან პიანისტს.

გასტროლების დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ ელისო ბოლქვაძე საქართველოს სახელმწიფო კვარტეტთან ერთად კვლავ იწვევა ამერიკას, შემდეგ კი პრაღაში გამართავს კონცერტებს, სადაც იგი მიიწვია პრაღის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორმა პეტრ ალტრიხტერმა, რომელთანაც ელისოს შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებს. სწორედ მასთან ერთად შეასრულა შარშან ამერიკაში ელისომ სენ-სანსის კონცერტი, რომელიც პიანისტის ჭეშმარიტ გამარჯვებად აღიარეს. აქვე ჩაწერს იგი თავის კომპაქტ-დისკს.

მუსიკა

კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა ელისოს ცხოვრებაში: მან წარმატებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურა პროფესორ თენგიზ ამირეჯიბის ხელმძღვანელობით. პიანისტს განზრახული ჰქონდა ამასთან დაკავშირებით, თბილისის მუსიკალურ ცენტრში სოლო-კონცერტი გაემართა, მაგრამ საქართველოში შექმნილმა მძიმე ვითარებამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე ხელი აღებინა.

ვუმასპინძლებთ საერთაშორისო სიმპოზიუმს

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გეოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმი დასახულია მოეწყოს საქართველოში 1995 წელს. ეს გადაწყვეტილება მიიღო შავიზღვისპირა ქვეყნების გეოლოგთა, გეოფიზიკოსთა და ეკოლოგთა სამეცნიერო ფორუმმა, რომელიც თურქეთში გაიმართა. საქართველოს, თურქეთის, რუსეთის, უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთისა და მოლდოვეთის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა ერთი კვირის განმავლობაში განიხილეს ფართო სპექტრის საკითხები.

შავიზღვისპირა ქვეყნების გეოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმის მუდმივმოქმედი სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელიც რიგრიგობით ეწყობა ყოველ მონაწილე ქვეყანაში ოთხ წელიწადში ერთხელ, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ი. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ამჟამად რესპუბლიკის გარემოს დაცვის მინისტრი შოთა ადამია არჩეულია ამ საპატიო კომიტეტის წევრად.

კრიმინალური ქრონიკა

◉ როგორც ცნობილია, კონცერნ „საქნავთობპროდუქტების“ მთელ რიგ თანამშრომელთა მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. რესპუბლიკის მთავარი საგამოძიებო სამმართველოსა და თანამდებობრივ და ეკონომიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოს მუშაკების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დაპატიმრებულია კონცერნის თავმჯდომარის მოადგილე არჩილ გაბრიჩიძე, რომელსაც წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 186 მუხლის მეორე ნაწილით. გაბრიჩიძეს ბრალად ედება ის, რომ მან დაკავებული თანამდებობა გამოიყენა ბოროტად, ანგარების მიზნით და 1992 წლის მარტში საზოგადოება „ალიას“ ერთ-ერთ დამფუძნებლად შეიყვანა თავისი შვილი — დავით გაბრიჩიძე. იმავე წელს, სხვადასხვა პერიოდში, კონცერნ „საქნავთობპროდუქტის“ მიმდინარე ანგარიშიდან, საზოგადოება „ალიას“ ანგარიშზე უკანონოდ, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, გადარიცხა სახელმწიფო თანხა 2 მილიონ 852 ათას ხუთასი მანეთი, ამ ფაქტის მიჩქმალვის მიზნით მანვე კონცერნის მთავარ ბუღალტერ გაგუასთან ერთად ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ჩამოწერა ეს თანხა კონცერნის ანგარიშიდან შარშან 11 მაისს, თითქოს იგი წარმოებისათვის დაიხარჯა.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, საზოგადოება „ალიას“ თავმჯდომარემ მ. შიმშილაშვილმა გამოძიებას წარმოუდგინა მათ ანგარიშში უკანონოდ გადარიცხული თანხის ნაწილი — მილიონ 474 ათას 250 მანეთი, ხოლო დანარჩენ ნაწილს — მილიონ 378 ათას 250 მანეთს უკვალოდ დაედო თბილისის კომერციულ „პროგრეს-ბანკში“.

მიმდინარეობს საქმის გამოძიება.

დინამოელთა დუბლი

ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებს დედაქალაქის „დინამოს“ წყალბურთელებმა ეროვნული თასიც მიუმატეს. სუპერფინალურ მატჩში მათ ანგარიშით 11:5 „ხაძირეს“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მესამე ადგილი ქუთაისის „იმერმა“ დაიკავა.

ამრიგად, დინამოელებმა მოიპოვეს უფლება საქართველოს სპორტული ღირსება დაიცვან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მომავალ გათამაშებაში. „თსუ“, როგორც ეროვნული თასის გათამაშების ფინალისტი, ჩვენს რესპუბლიკას წარმოადგენს კონტინენტის თასების მფლობელთა თასის ტურნირში.

საჭადრაკო მოზაიკა

თბილისის ჩემპიონატის 81 მონაწილე შვეიცარული სისტემით — 9 ტურად ასპარეზობს. გამარჯვებული რესპუბლიკის უმაღლესი ლიგის პირველობაში გამოვა, ხოლო II-VIII ადგილების მფლობელნი — პირველ ლიგაში. 5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით ლიდერობენ კახა შალამბერიძე, ლექსო ლაზარაშვილი და გია ბალათუროვი. 4-4 ქულაა ქეთევან მელაშვილისა და თამარ ფაჩულიას აქტივში.

* * *

დედაქალაქში დამთავრებული საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა პირველობა შესარჩევ ეტაპს წარმოადგენდა დიდ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისათვის. გამარჯვებულები ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონატებში, ხოლო ვიცე-ჩემპიონები — ევროპის პირველობაზე თანატოლთა შორის.

* * *

სანუკვარი პირველ-მეორე ადგილები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაიკავეს 10-წლისანებში: გიორგი ფარესიშვილმა (დუშეთი; მეორე პრიზიორი მოგვიანებით გაირკვევა); ანა მატნაძემ (თელავი) და ინგა ჭარხალაშვილმა (ქუთაისი). 12-წლისანებში: ალექსანდრე ქასრაშვილმა და ვალერი გაფრინდაშვილმა (ორივე — ქუთაისი); თინათინ ქველიაშვილმა (თბილისი) და შორენა ჯიმშელეიშვილმა (ქუთაისი). 14-წლისანებში: გიორგი ბახტაძემ და მიხეილ მჭედლიშვილმა (ორივე — თბილისი); სოფიკო ტყეშელაშვილმა (ქუთაისი) და მილენა ესაიბეკიანმა (თბილისი). 16-წლისანებში: სერგო მოვსესიანმა (თბილისი) და თამაზ გელაშვილმა (რუსთავი); მაია ლომინეიშვილმა (თბილისი) და ნათია აფხაიძემ (ქუთაისი).

* * *

ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის გარეუბან სან-ლორენსო-დე-ელ-ესკორიალში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ვაჟთა ფინალური მატჩი ჰოლანდიელ იან ტიმანსა და ინგლისელ ნაიჯელ შორტს შორის. მათი პირველი პარტია შავებით მოთამაშე ბრიტანელის წინადადებით 47-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. სულ მეტოქენი 14 პარტიას გაითამაშებენ. მოგებულს გადაეცემა 125000 დოლარი, ხოლო დამარცხებულს — 75000.

კულტურიზმი: გუშინ, დღეს, ხვალ

გია რაჭველიშვილი

„უცხო ხილი“ — კულტურიზმი, ისევე როგორც მრავალი სახელი, ჩვენში მრავალი დაბრკოლების გადალახვით, უფრო სწორად, ცალკეულ ენთუზიასტთა ძალისხმევით მკვიდრდებოდა სარდაფებში, სხვა დამხმარე სათავსოებში, ძირითადად ჩეხური და პოლონური ჟურნალების დახმარებით.

სპორტის ამ სახეობის მოამაგეთა ღვაწლი მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა იდეოლოგია ბოდიბილდინგს (ასაა კულტურიზმის „ნათლობის სახელი“) საერთოდ არ ცნობდა.

ამ ფონზე მართლაც გასაოცარია ქართული ტელევიზიის გამბედაობა, რომელმაც 1985 წელს იმდროინდელ საბჭოთა კავშირში პირველად სისტემატურად დაიწყო სპორტის ამ სახეობის პრაქტიკული პროპაგანდა. ტელეგადაცემებს ბორის ბერძენი უძღვებოდა.

მათთან ერთად ქართული კულტურიზმის დანერგვა-განვითარება უკავშირდება მ. ელენტის, ნ. ზუბიტაშვილის, ა. ხუსკივაძის, ა. დავითიანის, ვ. ჩობან-ზადეს, ი. გორელოვის, ვ. გოიაშვილის, ე. კოპლატაძის, ზ. აბაშიძის და სხვათა სახელებს.

1990 წლის 20 აპრილიდან საქართველოში ოფიციალურად ფუნქციონირებს კულტურიზმის ფედერაცია, რომელსაც უნარიანად, საქმის სიყვარულით უძღვება ფედერაციის პრეზიდენტი რობერტ ურჯუმელაშვილი.

ლეგალიზაციიდან გასული 3 წლის მანძილზე ჩვენმა სპორტსმენებმა არაერთხელ [illegible] საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის 1991 წელს სვერდლოვსკში „ზოტოვის მემორიალზე“ და ბალტიისპირეთში „ქარვის თასზე“. ამ ტურნირების ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ დ. რაზმაძე, გ. ქუშაშვილი, ი. დავითიანი და ი. ქარსელაშვილი, ე. კოპლატაძე და რ. კირკიტაძე. ი. დავითიანმა იმარჯვა გოგონათა შორის, ხოლო რ. კირკიტაძე ვეტერანებში ცდიდა ძალებს.

ეს — გუშინ. რა მდგომარეობაშია დღეს ქართული კულტურიზმი? — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გადავწყვიტეთ რესპუბლიკის საუკეთესო კლუბის — „ეტალონის“ მაგალითზე და ამ მიზნით ვეწვიეთ საწყლოსნო-საკონცერტო კომპლექს „ვერეს“, სადაც ვესაუბრეთ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანსა და „ეტალონის“ მთავარ მწვრთნელს, ქვეყნის კულტურიზმის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს **ალექსანდრე დავითიანს.**

ჩვენი კლუბის წინამორბედი — კოოპერატივი „ეტალონი“ 1987 წელს შექმნეს იან გორელოვმა და დიმიტრი კოპკოვმა „ვერეს“ კომპლექსის დირექტორის ვლადიმერ გოიაშვილის დახმარებითა და ხელშეწყობით. იმ პერიოდში მათთან ერთად კომპლექს „ვერეს“ ერთ დარბაზში მრავალრიცხოვან, დაახლოებით 200-კაციან ჯგუფს ავარჯიშებდნენ რევაზ ლობინეცი, ვალერი გორელოვი, კონსტანტინე მაცაბერიძე და ლორია ძაგნიძე.

ჩვენი კლუბის ძალა განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა საქართველოს 1992 წლის ჩემპიონატში, რომელშიც გათამაშებული 12 მედლიდან 8 დავისაკუთრეთ. რესპუბლიკის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ ვ. ზაალიშვილი და ზ. ნებიერიძე, ვიცე-ჩემპიონები — ა. შეხვერდიანი, ა. პაპიკიანი და გ. დადიანი, ხოლო მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს დ. ნებიერიძემ, ი. ბროუჩეკმა და გ. ეჯეთიმიშვილმა. მათ გარდა, გოგონათა დაფაში მეორე იყო მ. ასტაშკინა.

ეს მიღწევები მნიშვნელოვანწილად განაპირობა კომპლექსის დირექტორისა და კულტურიზმის დიდი ქომაგის ბატონ ვლადიმერ გოიაშვილის პირადმა დამსახურებამ და გვერდში დგომამ. მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ყოველდღიურად უფასოდ ვვარჯიშობთ, ვმარაგდებით ინვენტარითა და სპორტული იარაღებით, ვსარგებლობთ აუზით და ასე შემდეგ...

— მაგრამ, მიუხედავად „ვერეს“ თავკაცის დაუზარელი მცდელობისა, ყველაფერი მოგვარებული, ალბათ, მაინც არ გაქვთ...

— რა თქმა უნდა. ჩვენთვის, კოლეგების მსგავსად, „აქილევსის ქუსლია“ სპონსორები, ფული, კვება (აქვე გეტყვით, რომ კულტურიზმში, თურმე, შედეგების მიღწევა დაახლოებით 70%-ით კვების ხარისხზე ყოფილა დამოკიდებული).... მით უფრო საამაყოა „ეტალონის“ წევრთა მონდომება, რომლებიც დღეში ორჯერ ვარჯიშობენ გაუცდენლად.

— როგორც შევიტყვეთ, თქვენს კლუბში სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც ხალისით დადიან...

— არა მარტო სპორტსმენები. „ეტალონი“ საუკეთესო კერაა სამკურნალო ფიზკულტურის, სარეაბილიტაციო ვარჯიშების, აერობიკისა და შეიპინგის მოყვარულთათვის. რაც შეეხება სპორტის სხვა სახეობებს, ჩვენთან შეხვდებით მოკრივეებს, მორაგბეებს, მკლავჭიდელებს, მთამსვლელებს, ფეხბურთელებს, მეკალდიორეებს, მოთხილამურეებს, კიკბოქსინგის ოსტატებს...

საკმარისია აღინიშნოს, რომ სხვებთან ერთად ჩვენი კლუბის სასურველი სტუმრები არიან ტიტულოვანი მკლავჭიდელები — ზაზა ჯურჯანიშვილი და დათო ჩელიძე.

— რას გვეტყვით უახლოესი პერსპექტივის შესახებ?

— 16 იანვარს ფედერაცია ატარებს საქველმოქმედო ბოდიბილდინგ-შოუს, რომლის შემოსავალიც გადაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდში. აქვე დავძენ, რომ ამ ღონისძიებაზე ნავარაუდევია კულტურიზმის რამდენიმე ახალი კლუბის დებიუტი.

აპრილის მიწურულს დედაქალაქში გაიმართება რესპუბლიკის III ჩემპიონატი. მის მონაწილეთა მომზადების მაღალი დონის შემთხვევაში ვიასპარეზებთ ევროპის ჩემპიონატზე...

P.S. **საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები რეგულარულად აშუქებენ კულტურისტთა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებს, რაც, რასაკვირველია, მისასალმებელია.**

ვფიქრობთ, მეტი დაფასების, უბრალოდ, მოხსენიების ღირსნი მაინც არიან ის პიროვნებები, რომლებიც ძალ-ღონესა და საშუალებებს არ ზოგავენ სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისათვის, რაც ჩვენი წერილის მთავარი დანიშნულებაა: მიუზღოთ კეისარს კეისრისა.

* * *

სურათზე: ვარჯიში კლუბ „ეტალონში“.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ნატიფი შამათი

რუბრიკას უძღვებიან შოთა ინწკირველი და ვლადიმერ კალანდაძე.

გიწვევთ საშობაო კონკურსზე!

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 1994 წლის 1 იანვარი).

7. სად და როდის გამოქვეყნდა ქართველი ავტორის პირველი ამოცანა.

ლაგოდეხი, 1961 წელი.



შავები იგებენ.

თბილისი, 1947 წელი



თეთრები იგებენ.

ოზურგეთი, 1945 წ.



თეთრები იგებენ.

კიდევ ერთი ოსტატი

17 წლის ნატო ეძგვერაძემ შარშან სანქტ-პეტერბურგის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (პირველი რუსი მსოფლიო ჩემპიონი ქალის ლიუდმილა რუდენკოს მემორიალი) საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ნატოს მასწავლებელია გიორგი ხომერიკი. ნიჭიერი და შრომისმოყვარე გოგონა, თბილისისა და საქართველოს მრავალგზის, ხოლო საბჭოთა კავშირის 1989 წლის ჩემპიონი მოსწავლეებში. ვნახოთ საინტერესო, სასწავლო პარტია სანქტ-პეტერბურგელ ოსტატთან.

ეძგვერაძე — ეფრემოვა. სკანდინავიური. სანქტ-პეტერბურგი, 1992 წელი. გიორგობისთვე. 1. e4 d5 2. e:d5 ლ:d5 3. მc3 ლa5 4. d4 მf6 5. მf3 მc6 6. კb5

მიჩნეულია საუკეთესო პასუხად 5. ... მc6-ზე.

6. ... მd5 7. 0-0! მ:c3 8. კ:c6 b:c6 9. b:c3 ლ:c3

ეფრემოვამ მიიღო პაიკის შეწირვა, რაც იწვევს განვითარებაში ჩამორჩენას.

10. კd2 ლc4 11. მe5! ლ:d4 12. ეe1

ეძგვერაძეს შეეძლო პაიკის აყვანა, მაგრამ ის განვითარებას ამჯობინებს.

12. ... კe6 13. c4!

აკონტროლებს d5 უჯრას. შეიქმნა ორი მუქარა ლf3 და ლa4

13. ... ეd8 14. ლa4! f6 15. კc3!! ლ:c3

არ შველის 15. ... ლa5 16. კb4 ლb6 17. მ:c6 კd7 18. კ:e7 კ:c6 19. კ:d8 მფ:d8 20. ლd1 მფc8 21. ლg4+—.

16. ლ:c6 ეd7 17. მ:d7 კ:d7 18. ლa8 მფf7 19. ლd5 მფe8 20. ეed1 კg4 21. ეab1 e5 22. ეb8 მფe7 23. ლd8 და შამათი გარდუვალია. ასე დაგვირგვინდა თეთრი ფიგურების მხარდი კოორდინაცია ახალგაზრდა ოსტატის ხელში.

ქართული ჭადრაკის წარსულიდან

გთავაზობთ ერთ პარტიას თბილისის 1925 წლის ჩემპიონატიდან (სამწუხაროდ, ჩვენთან საჭადრაკო არქივი არ არსებობს). დღევანდელი თვალსაზრისით ყველაზე ადრინდელი პარტიაა გათამაშებული საქართველოში XX საუკუნეში და უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის, მათ შორის — მოჭადრაკეთათვის. ვახტანგ ერისთავი იყო ინგლისური ენის სპეციალისტი, შექსპიროლოგი.

კარლინსკი — ერისთავი. ორმაგი ფიანკეტო. თბილისი, 1925 წელი. 1. მf3 მc6 2. b3 d5 3. g3 კg4 4. კg2 ლd7 5. კb2 კh3 6. 0-0?

ეს ნაადრევი როქი საბედისწერო აღმოჩნდა თეთრებისათვის. საჭირო იყო 6. კ:h3

6. ... კ:g2 7. მფ:g2 მf6 8. d3 h5! 9. მbd2 h4! 10. მ:h4 g5 11. მf3 ლh3 12. მფg1 g4 13. მh4 0-0-0 14. კ:f6 e:f6 15. f3

იმუქრებოდა კd6 და ე:h4

15. ... ე:h4! 16. g:h4 g3 17. h:g3 ლ:g3 18. მფh1 კd6. კარლინსკი დანებდა.

ცხონება

მიხეილ ბიწაძე



მამულის უსაზღვრო სიყვარულმა და ვაჟკაცურმა სულმა ჩააცვა გვარდიელის მუნდირი კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომელს მიხეილ ოთარის ძე ბიწაძეს.

თავისი სამი შვილის უკეთესი მომავლისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის საბრძოლველად შემართული ვაჟკაცი, სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდია) 28-ე ბატალიონის ოფიცერი, რომელიც არაერთხელ დაინდო ბრძოლის ველზე მტრის ტყვიამ, ყველასათვის მოულოდნელად გამოაკლდა ჩვენს რიგებს.

კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი დაქვრივდა, გამრავლდნენ ობლები... დღეიდან მხოლოდ მამის სურათი თუ გაუღიმებს პატარა ნანას, ოთარსა და თინიკოს.

იძინე მშვიდად, გადამთიელის ტყვიას გადარჩენილო და თანამემამულისგან მუხანათურად განწირულო მეგობარო.

ვიდრე ცოცხლები ვართ, პირნათლად ვემსახურებით იმ საქმეს, რომლისათვის ბოლომდე დახარჯვაც არ დაგცალდა.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსი (გვარდია).

ბესიკ კვეზერელი

ამ დღეებში შეწყდა კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე. ულმობელი თანამოძმის მიერ ნასროლმა ტყვიამ თბილისში, საკუთარი სახლის წინ განგმირა 24 წლის ბესიკ კვეზერელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტი, საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი.

ბესიკ კვეზერელი პირველივე დღეებიდან აქტიურად ჩაება საქართველოში დაწყებულ ეროვნულ მოძრაობაში. ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის იდგა იქ, სადაც სამშობლოს უჭირდა, იყო „მხედრიონის“ წევრი. შარშან, დეკემბერში, თბილისში დატრიალებული მოვლენების დროს, ებრძოდა უსამართლობას, განუკითხაობას. ამიტომ, განსაკუთრებით გვწყდება გული, რომ საკუთარ ხალხზე უზომოდ შეყვარებულმა ჭაბუკმა მტრისაგან კი არა, ისევ ქართველის ხელით დალია სული.

წავიდა და დატოვა დამწუხრებული მშობლები, მეგობრები, ახლობლები.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

თანამშრომლები.

ზურაბ ვოლსკი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის გეოლოგიური კონტროლის განყოფილების უფროსი ზურაბ დავითის ძე ვოლსკი.

ბ-ნი ზურაბი იყო მაღალკვალიფიციური, ფართო პროფილის სპეციალისტი. სრულყოფილად ფლობდა გეოლოგიური აგეგმვის რთულ მეთოდიკას, საბადოების დაზვერვის ტექნიკას და ტექნოლოგიას. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესწავლილ იქნა საქართველოს ცალკეული რეგიონების გეოლოგიური აგებულება, სასარგებლო წიაღისეულის, განსაკუთრებით ფერადი ლითონების საბადოები და პერსპექტიული რაიონები.

1976-1979 წლებში ბატონი ზ. ვოლსკი მივლინებული იყო წამყვან სპეციალისტად ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ბ-ნი ზურაბის სახით ჩვენ დავკარგეთ შესანიშნავი ქართველი მოქალაქე, მეოჯახე და სპეციალისტი.

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტი; საქართველოს გეოლოგიის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მუშაკთა რესპუბლიკური საბჭო; საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიური საზოგადოება.

საქართველო-რუსეთის ფინანსური ასოციაცია ასრულებს გადარიცხვებს რუსეთიდან საქართველოში 5%-იანი დათმობით.

ვისაც გაქვთ გადმოსარიცხი თანხა რუსეთიდან საქართველოში მოგვმართეთ ტელეფონებით:

ქ. თბილისში - 36-09-29;
- 36-27-74;
- 95-45-94; ავტომოპასუხით
ქ. მოსკოვში - 350-81-00;

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 78 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს უფროსი, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბიძინა რაჟდენის ძე ნანეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი, უზენაესი სასამართლოს წევრი

ოთარ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რკინიგზის თბილისის ტერიტორიული სამმართველოს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომის ვეტერანი

ვლადიმერ ვაშაკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0148.

ინდექსი 66434